შირაქი

SHIRAKI

www. open.ge

გამოდის 1937 წლიდან

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

№3 (9.717)

30 იანვარი-6 თებერვალი 2016 წელი

ფასი: 50 თეთრი

ყოველკვირეული გამოცემა

დედოფლისწყარო ნოტარიუსის გარეშე დარჩა

გვ.3

დააზიანა თუ არა მშენებარე საავადმყოფო დიდთოვლობამ და სად მიდის გამგებელი?

გვ.2



ხანძრის სტატისტიკა, GIZ და ქარსაფარი ზოლი

გიგლა აგულაშვილი: „ეს არის დაუფასებლობა და უპატივისმცემლობა იმ ადამიანების მიმართ, რომლებიც მრავალი წელია, ძალისხმევას არ იშურებდნენ დედოფლისწყაროში ქარსაფარი ზოლების აღდგენისთვის“...

ვანია ვესტენბერგი: „ჩვენი აქ ყოფნის მიზანია, ვისაუბროთ იმაზე, თუ რა ზიანი მოაქვს სასოფლო- სამეურნეო ნაკვეთების გადაწვას და რა ალტერნატივები უნდა შევთავაზოთ ფერმერებს, ნაცვლად სავარგულების გადაწვისა.“

ხალხის აზრით...

გვ.5

საქართველოს 2015 წლის საუკეთესო ფეხბურთელი ჯაბა კანკავა გახდა

გვ.8

„ყველა საუკუნის ქართული პოეზია“...

გვ.4

ჩინეთში კიდევ ერთი ქართული ღვინის სახლი გაიხსნა

გვ.2

მიგრანტთა კრიზისი ევროპის ერთიანობას და შენგენის ზონას შეიწირავს?!

გვ.6

C M Y K

დააზიანა თუ არა მშენებარე საავადმყოფო დიდთოვლობამ და სად მიდის გამგებელი?

საახალწლოდ მოსული დიდი თოვლის შემდეგ დედოფლისწყაროში აქტიურად საუბრობენ იმის თაობაზე, თითქოს, დიდთოვლობამ პირველი სკოლის მიმდებარე ტერიტორიაზე მშენებარე ახალი საავადმყოფოს შენობა დააზიანა და შიგნით წყალი ჩავიდა. გავრცელებული ხმების მიხედვით, გადაინგრა ერთ-ერთი კედელიც.

გაზეთი „შირაქი“ დაინტერესდა და ინფორმაციის გადამოწმება სცადა. შევეცადეთ გაგვერკვია, დააზიანა თუ არა დიდთოვლობამ დედოფლისწყაროს მშენებარე საავადმყოფო და რა კედელი გადაინგრა. რა პასუხი აქვს მუნიციპალიტეტის გამგებელს, გვიანდება თუ არა ახალი კლინიკის გახსნა.

„დაახლოებით 10-11 იანვარს პირადად გადავედი და მოვინახულე ახალი საავადმყოფო. ფაქტიურად მშენებლობის პროცესი უკვე დასრულებულია. მხოლოდ წვრილმანი სამუშაოებია, შიდა ოთახების კეთილმოწყობა მიმდინარეობს. მართალია, ჩემი სტუმრობისას დიდთოვლობა უკვე აღარ იყო, მაგრამ დამერწმუნეთ, ვერც გარეთ და ვერც შენობის შიგნით დაზიანებული ვერაფერი ვნახე. შესაბამისად, საზოგადოებაში გავრცელებული ხმები სიმართლეს არ შეესაბამება. რაც შეეხება მოსახლეობაში გავრცელებულ მოსაზრებას, თითქოს კედელი გადაინგრა, ვიცოდით, რომ ეს სიმართლეს არ შეესაბამებოდა, თუმცა კიდევ ერთხელ გადავამოწმეთ. ამის შესახებ მინდა გითხრათ, რომ საავადმყოფოს ეზოში არსებობდა სხვა ძველი შენობები, რომლებიც პროექტის თანახმად შენობის დასრულებისთანავე უნდა დანგრეულიყო, რათა ეზო გასუფთავდეს. ასე რომ, კედელი კი არ გადაინგრა, სხვა ძველი შენობა სპეციალურად დაანგრიეს და გაწმინდეს, როგორც ეს თავიდანვე გათვალისწინებული იყო... არ ვიცი, რა უდევს ამ ჭორებს საფუძვლად, მაგრამ სამწუხაროდ, ასეთი ხმები ხშირად გავრცელდება ხოლმე. მინდა დავამშვიდო ჩვენი რაიონის მოსახლეობა, რომ არც პრობლემა შექმნილა და არც არაფერი დანგრეულა. გაზაფხულიდან გვექნება ახალი საავადმყოფო, რომელიც საზეიმო ვითარებაში გაიხსნება. ერთია მშენებლობის დასრულება და შემდეგ უკვე მისი თანამედროვე სტანდარტებით აღჭურვა მოხდება. მესამე ეტაპზე კი მისი ეზოს და მიმდებარე გზების კეთილმოწყობა მოხდება. ეს საავადმყოფოს პროექტს არ ეხება, მაგრამ მუნიციპალიტეტმა მიიღო გადაწყვეტილება, რომ რადგან ამხელა კარგი საქმე გაკეთდა, დამატებით თანხები გამოგვვენახა, რათა მიმდებარე გზებიც მოწესრიგდეს. წელს იგეგმება, რომ სამივე მხრიდან ახალი გზები და ინფრასტრუქტურა მოეწყობა. ასე რომ, საავადმყოფოს გახსნას და გამართულ ფუნქციონირებას გაზაფხულზე წინ ვერაფერი დაუდგება,“ - აღნიშნავს დედოფლისწყაროს გამგებელი.

დაზუსტებისთვის: თუკი მშენებლობის პროცესში რაიმე ხარვეზი ან დაზიანება გამოვლინდება, მისი აღმოფხვრა კონტრაქტის თანახმად იმავე კომპანიის ვალდებულებაა, რომელიც სამშენებლო სამუშაოებს აწარმოებს. ასე რომ, ნებისმიერი სახის ხარვეზის გამოსწორებაზე კომპანია მანამდე მოახდენს, ვიდრე შენობას ჩააბარებს.

„შირაქმა“ გამგებელთან კიდევ ერთი ჭორის გადამოწმება სცადა. ბოლო ხანს ასევე ვრცელდებოდა ხმები, თითქოს, ის თანამდებობიდან წასვლას აპირებს. უფრო მეტიც, საუბრობდნენ იმის შესახებაც, თითქოს ნიკოლოზ ჯანიაშვილმა თანამდებობიდან გადადგომის შესახებ განცხადება უკვე დაწერა.

გამგებელმა აღნიშნა, რომ ასეთი ხმები მასაც სმენია, თუმცა ინფორმაცია სიმართლეს არ შეესაბამება და ვადის ამოწურვამდე ნიკოლოზ ჯანიაშვილი განცხადების დაწერას და თანამდებობიდან გადადგომას არ გეგმავს.

„უფრო მეტს გეტყვით, ვინაობაც კი მსმენია, ვინც თითქოს ჩემს ადგილზე „დანიშნეს“. თუმცა, გარწმუნებთ, რომ ეს ჭორია, საფუძველს მოკლებულია და არსად წასვლას არ ვგეგმავ!... ახალი წელი ახალი ენერგიით დავიწყეთ და შევუდექით უფლებამოსილების განხორციელებას,“ - ამბობს ნიკოლოზ ჯანიაშვილი.

მოგეხსენებათ, სულ ახლახან განხორციელებული თვითმმართველობის რეფორმის შედეგად, მუნიციპალიტეტის გამგებელი არჩევითი გახდა. ასე რომ, გამგებლის გადადგომის შემთხვევაში, იმავე ოლქში, არჩევნების ხელახლა დანიშვნის აუცილებლობა დგება და სხვა პირს გამგებლად ვერ დანიშნავენ. ამის დასტურია ისიც, რომ მიმდინარე წლის 28 იანვარს გარდაბნის მუნიციპალიტეტში გამგებლის ხელახალი არჩევნები ჩატარდა. ეს კი იმით იყო გამოწვეული, რომ გასულ წელს მოქმედი გამგებელი გარდაიცვალა.

ილია მარტყოფლიშვილი

ჩვენ გვწერენ

„შირაქის“ ფოსტა

სოფელ ზემო მაჩხაანის ერთი უბანი 5 თვის წინ წყალმომარაგების ახალ ქსელში ჩაერთო. ამით, თითქოს, პრობლემა, რომელიც წლების განმავლობაში იდგა აქ, გადაიჭრა. მაგრამ, როგორც ზემომაჩხაანელი გიორგი ტოკლიკიშვილი გვატყობინებს, წყალი მოდის, თუმცა, ჭუჭყიანი და დასალევად კი არა, ტექნიკური მოხმარებისათვისაც კი არ გამოიყენებაო. ჩვენ დავუკავშირდით შპს საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის დედოფლისწყაროს სერვისცენტრის მენეჯერს გია გოგილაშვილს, რომელმაც განაცხადა:

- 5 თვეა, რაც ზემო მაჩხაანში ახალი წყალსადენი ჩაირთო, მაგრამ ვაღიარებ, რომ წყალი ჟანგის შემცველია და შემღვრეული მიეწოდება მოსახლეობას. ეს გამოწვეულია იმით, რომ ქსელი მეტალის მილებისაა და წყლის პერიოდული დატუმბვის გამო მილებში წარმოქმნილი ჟანგი წყალს მიჰყვება. განგიმარტავთ, რომ ქსელები გააკეთა კომპანიამ, რომელმაც ტენდერში გაიმარჯვა და სამუშაოების დასრულების შემდეგ ექსპლუატაციისათვის ჩვენ გადმოგვეცა. ჩვენ ვდგავართ ფაქტის წინაშე, რომ ქსელი იჟანგება, მაგრამ წყალი ბაქტერიულად საშიში არ გახლავთ, და თუ მოსახლეობა აღებულ წყალს ცოტა ხნით დადგავს და დააწმინდავებს, მისი გამოყენება სასმელად და ტექნიკური თვალსაზრისითაც რეკომენდებულია. პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ სათავე ნაგებობაში წყალი აკმაყოფილებს ნორმებს, რომელსაც ლაბორატორიული კვლევა რეგულალურად უტარდება. რაც შეეხება წყლის დაჟანგვას, მისი გამოსწორების გზებზე ვფიქრობთ და ვეძებთ გამოსავალს.

რედაქცია გამოთქვამს იმედს, რომ კომპანიის და სერვისცენტრის ხელმძღვანელობა ყველა ღონეს იხმარს პრობლემის აღმოსაფხვრელად.

ნაირა გორაშვილი.

პრეზიდენტის სასახლეში ეროვნული უშიშროების საბჭოს 20 წლის იუბილე აღინიშნა

პრეზიდენტის სასახლეში გამართულ ღონისძიებაზე, რომელიც ეროვნული უშიშროების საბჭოს 20 წლის იუბილესთან დაკავშირებით გაიმართა, საქართველოს პრეზიდენტმა აღმასრულებელი, საკანონმდებლო , სასამართლო ხელისუფლების წარმომადგენლებს, დიპლომატებს, ექსპერტებს, პრეზიდენტის ადმინისტრაციის წარმომადგენლებს და მიწვეულ სტუმრებს სიტყვით მიმართა.

საქართველოს პრეზიდენტმა ეროვნული უშიშროების საბჭოს, როგორც სათათბირო ორგანოს მნიშვნელობაზე ისაუბრა და აღნიშნა, რომ ასეთი კონსტიტუციური ფორმატი, სხვა არც ერთ ორგანოში არ არსებობს, სადაც პრეზიდენტი, თავდაცვის მინისტრი და პარლამენტის თავმჯდომარე, პრემიერი, შესაბამისი კომიტეტები და უწყებების წარმომადგენლები ერთად თათბირობენ.

“ეს არის თარიღი, რომელიც ხაზს უსვამს ჩვენი აღდგენილი სახელმწიფოებრიობის ტრადიციებს, იმ ინსტიტუტებს, რომლებიც უზრუნველყოფდნენ ქვეყნის განვითარებას და თავდაცვისუნარიანობას. ბუნებრივია, ამ დღეს ჩვენ იმედით ვუყურებთ მომავალს, რომ მომავალშიც ასეთი მნიშვნელოვანი საკონსტიტუციო ინსტიტუტები გააღრმავებენ ქართული სახელმწიფოს სუვერენიტეტს.

2014 წელს ახალი გადაწყვეტილებით და საკანონმდებლო ცვლილებებით, ჩვენ დავაფუძნეთ სტრუქტურა, რომელსაც აკისრია საკანონმდებლო, აღმასრულებელი და პრეზიდენტის ინსტიტუტების სათათბირო ორგანოს უმნიშვნელოვანესი როლი.

ასეთი კონსტიტუციური ფორმატი, სხვა არცერთ ორგანოში არ არსებობს - ეს არის ფორმატი, რომელშიც ქვეყნის თავდაცვისუნარიანობაზე პრეზიდენტი, თავდაცვის მინისტრი და პარლამენტის თავმჯდომარე, პრემიერი და შესაბამისი კომიტეტები და უწყებების წარმომადგენლები ერთად თათბირობენ.

საბჭოს თათბირი გულისხმობს სტრატეგიული გადაწყვეტილებების მიღებას ისეთ საკითხებზე, როგორიცაა შეიარაღებული ჯარის რიცხოვნობა, შეიარაღებული ძალების მონაწილეობა სხვა ქვეყნებში, საგანგებო მდგომარეობის გამოცხადება.

ფაქტობრივად ყველა გადაწყვეტილება, რომელსაც საქართველოს პრეზიდენტი იღებს, როგორც მთავარსარდალი, უშიშროების საბჭოს ფორმატი ყველაზე შესაბამისი ფორმატია. რადგან მის მუშაობაში მონაწილეობას იღებენ ყველაზე მაღალი პოლიტიკური თანამდებობის პირები.

კიდევ ერთხელ მინდა დღევანდელი დღე მივულოცო საბჭოს ყველა წევრს, საბჭოს აპარატს, იმ ადამიანებს, ვინც წლების განმავლობაში ჩვენი ქვეყნის სიძლიერისა და სიმტკიცისთვის ამ ფორმატში მოღვაწეობდნენ”, - განაცხადა საქართველოს პრეზიდენტმა სიტყვით გამოსვლისას.

უშიშროების საბჭოს აპარატის თანამშრომელი ლუიზა არჩვაძე, რომელიც უწყებაში დაარსების დღიდან მუშაობს, ღირსების მედლით დაჯილდოვდა, ჯილდო კი მას უშიშროების საბჭოს მდივანმა ირინე იმერლიშვილმა გადასცა.

შეკრებილ სტუმრებს ასევე სიტყვით მიმართეს ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივანმა ირინე იმერლიშვილმა, პარლამენტის თავმჯდომარემ დავით უსუფაშვილმა, გენერალ მაიორმა ვახტანგ კაპანაძემ და თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარემ ირაკლი სესიაშვილმა.

ჩინეთში კიდევ ერთი ქართული ღვინის სახლი გაიხსნა

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ჯიჟიანის (Zhijiang) პროვინციის ქალაქ ლიშვეიში „სუოლუნ“ კომპანიამ რიგით მეორე, „ქართული ღვინის სახლი“ გახსნა. „სუოლუნ“ კომპანია 2016 წლის ბოლომდე, მთელი ჩინეთის მასშტაბით 60-80 „ქართული ღვინის სახლის“ გახსნას გეგმავს, სადაც ქართული ღვინის პოპულარიზაცია ქართული კულტურისა და ისტორიის გაცნობით მოხდება.

ღვინის ეროვნული სააგენტოს ცნობით, კომპანიის მიერ მიმდინარე წელს დაგეგმილია ქართული ღვინის სკოლის გახსნა ქალაქ ივუში (Yiwu).

ჯიჟიანის პროვინციაში 55 მილიონი მოსახლეა. ამ პროვინციაში მდებარე ქალაქი ივუ ცნობილია, როგორც იმპორტირებული პროდუქტის სავაჭრო ბაზრობა. აქ, მსოფლიოს მასშტაბით თავს იყრის 90 ქვეყნისა და რეგიონის 50 000 ფართო მოხმარების იმპორტირებული პროდუქტი.

„ქართული ღვინის სახლის“ საზეიმო გახსნაზე მიწვეულნი იყვნენ ადგილობრივი დისტრიბუტორები, დილერები და მედიის წარმომადგენლები. „სუოლუნ“ კომპანიის გენერალურმა დირექტორმა ისიაო ძიუნუმ სტუმრებს ქართული ღვინის პრეზენტაცია წარუდგინა და ჩინეთში „ქართული ღვინის სახლების“ ქსელის მნიშვნელობა გააცნო.

ღონისძიებას ქართულ დელეგაციასთან ერთად საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ ღვინის ეროვნული სააგენტოს სპეციალური წარმომადგენელი ჩინეთში, მაია ცქიტიშვილიც დაესწრო. მან სამუშაო შეხვედრები გამართა ქალაქ ივუში და გაეცნო „სუოლუნ“ კომპანიის სამომავლო გეგმებს ქართული ღვინის ექსპორტის ზრდის ხელშეწყობის მიზნით. სააგენტოს წარმომადგენელი ასევე შეხვდა ჯიჟიანის პროვინციის ქალაქ ივუს ლოჯისტიკური ცენტრის (Bonded Logistics Center) გენერალურ დირექტორს ქალბატონ კრისტალს, სადაც განხილული იყო ჩინეთის მთავრობის პროექტის ფარგლებში ქართული ღვინისათვის უფასო საწყობით სარგებლობის წინადადება.

ღვინის ეროვნული სააგენტოს ინფორმაციით, 2015 წელი განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში ქართული ღვინის ექსპორტის ზრდის კუთხით. ჩინეთში, წლის დასაწყისში დაფიქსირებული ექსპორტის მკვეთრი ზრდის ტემპები წლის ბოლომდე შენარჩუნდა და 2015 წლის მონაცემებით 122%-ს მიაღწია. ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში სულ 12 თვეში ექსპორტირებულია 2 672 154 ბოთლი (0,75 ლ).

საპარლამენტო არჩევნებამდე შესაძლოა ფიზიკური შეურაცხყოფისთვის დაწესებული სასჯელი გამკაცრდეს

საქართველოს პრემიერ-მინისტრი 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებამდე ფიზიკური შეურაცხყოფისთვის დაწესებული სასჯელის გამკაცრების ინიციატივით გამოდის. გიორგი კვირიკაშვილის თქმით, დღევანდელი კოდექსით, ფიზიკური შეურაცხყოფისთვის საკმაოდ მსუბუქი სასჯელია გათვალისწინებული.

პრემიერ-მინისტრმა მთავრობის სხდომაზე იუსტიციის მინისტრს მიმართა გადახედოს ცივილიზებულ ქვეყნებში არსებულ გამოცდილებას, ფიზიკური შეურაცხყოფისთვის არსებულ სასჯელებთან დაკავშირებით. აღნიშნული განცხადება პრემიერ-მინისტრმა გარდაბნის რიგგარეშე არჩევნების მიმდინარეობასთან დაკავშირებით გააკეთა, სადაც რამდენიმე საარჩევნო უბნის გარეთ, მოქალაქეებს შორის დაპირისპირება მოხდა.

„იუსტიციის მინისტრს მინდა ვთხოვო, გადახედოს, იქნებ, ფიზიკური შეურაცხყოფისთვის რას ითვალისწინებს ჩვენი კოდექსი. რამდენადაც ვიცი, იქ არის ფულადი ჯარიმები და სხვა ასეთი საკმაოდ მსუბუქი სასჯელი. არ მინდა ვთქვა, რომ რაღაც უკიდურესობაში გადავვარდეთ, მაგრამ ძალიან ბევრ ცივილიზებულ ქვეყანაში ფიზიკური შეურაცხყოფისთვის უფრო მკაცრი სასჯელია გათვალისწინებული. იქნებ, ამ კუთხითაც გარკვეული პრევენცია გაგვეკეთებინა არჩევნებამდე“, - განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.

დედოფლისწყარო ნოტარიუსის გარეშე დარჩა

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტი სანოტარო ბიუროს გარეშე დარჩა. მოქმედი ნოტარიუსი ლია გომელაური ხანგრძლივი ავადმყოფობის შედეგად, 56 წლის ასაკში გარდაიცვალა. კიდევ ერთ ნოტარიუსს, მარინა ახალაურს მუშაობის უფლება რამდენიმე წლის წინ შეუჩერდა, რის შემდეგაც რაიონში მხოლოდ ერთი სანოტარო ბიურო მოქმედებდა.

როგორც ნოტარიუსთა პალატის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი ნანა ქადაგიშვილი ამბობს, ჯერ უცნობია, დედოფლისწყაროში როდის დაინიშნება ნოტარიუსი. მისი თქმით, იუსტიციის მინისტრმა ახალი ნოტარიუსების დანიშვნის პროცესი უკვე დაიწყო. პრიორიტეტი კი ისეთ რაიონებს ენიჭება, სადაც სანოტარო მომსახურება არ ხორციელდებოდა.

„ახლახანს გარდაიცვალა დედოფლისწყაროს ნოტარიუსი და გუშინ გამოიცა ბრძანება, რომ ის მონაცემთა ბაზიდან ამოგველო. ასე მოკლე დროში ცვლილება ვერ მოხდება. თუმცა, გეტყვით, რომ ნოტარიუსის დამტკიცება იუსტიციის მინისტრის პრეროგატივაა. ამ ეტაპზე ვადებს ვერ დავაკონკრეტებ, მაგრამ ნოტარიუსების დანიშვნის პროცესი უკვე მიმდინარეობს. იმ რაიონებში, სადაც ნოტარიუსები არ იყვნენ, მინისტრმა უკვე დანიშნა, ამჟამად 6 რაიონია ასეთი. თავდაპირველად პრიორიტეტი იმ მუნიციპალიტეტებს მიენიჭა, სადაც ნოტარიუსი არ მოქმედებდა. დეკემბრის თვეში კანონში ცვლილება შევიდა და იქ ნათქვამია, რომ პირველ ეტაპზე ნოტარიუსები ინიშნება ისეთ დასახლებებში, სადაც არ მოქმედებს, ან არასაკმარისია ნოტარიუსთა ოდენობა.

ზოგადად, ნოტარიუსის ლიცენზია რომ მოიპოვოს, საკმაოდ გრძელი გზაა გასავლელი. გარდა იმისა, რომ იურისტის დიპლომს უნდა ფლობდეს, აუცილებელია საკვალიფიკაციო გამოცდები ნარმატებით გადალახოს. ასევე, ნოტარიუსთა პალატის სასწავლო ცენტრში 8 თვიანი სტაჟირების გავლაა აუცილებელი. ამ ეტაპზე სტაჟირებაც მიმდინარეობს, ანუ, ახალი კანდიდატებიც მზადდებიან. მანამ, სანამ დედოფლისწყაროში სანოტარო ბიურო არ მოქმედებს, მოქალაქეებს შეუძლიათ სხვა რაიონებში მოქმედ ნოტარიუსებს მიმართონ. ერთადერთი შეზღუდვა ისაა, რომ ისინი, ვინც უკვე დედოფლისწყაროს ნოტარიუსთან არიან დარეგისტრირებულნი, მათ მოუწევთ მოცდა. თუ განცხადება სამკვიდრო საკითხებზე აქვთ შეტანილი, ასეთ შემთხვევაში დედოფლისწყაროს ნოტარიუსის დანიშვნას უნდა დაელოდონ," - აღნიშნავს ნანა ქადაგიშვილი.

უახლოეს მომავალში იუსტიციის სამინისტრო გეგმავს თანამედროვე სტანდარტების საზოგადოებრივი ცენტრი გახსნას დედოფლისწყაროს სოფელ არხილოსკალოში. სადაც სხვა მომსახურებებთან ერთად მოქალაქეები სანოტარო მომსახურების მიღებასაც შეძლებენ. ცნობილია, რომ ქედების ზონის და საზღვრისპირა სოფლების მაცხოვრებლებს ამ დრომდე სანოტარო სერვისის მისაღებად რაიონულ ცენტრში ამოსვლა და ათობით კილომეტრის გავლა უწევთ, რაც დამატებით პრობლემებს ქმნის, განსაკუთრებით ასაკოვანი მოქალაქეებისთვის.

საზოგადოებრივ ცენტრში ათამდე ადგილობრივი დასაქმდება, ხოლო ადგილობრივი და მიმდებარე სოფლის მოსახლეობა საჯარო და კერძო სექტორის 200-ზე მეტი სერვისით ისარგებლებს. საზოგადოებრივ ცენტრში კომფორტულ გარემოში მოსახლეობა მარტივად შეძლებს დაბადების მოწმობისა და პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის მიღებას; ქონების, მიწის რეგისტრაციას და სხვა. გარდა სახელმწიფო სერვისებისა, სოფლის მკვიდრნი საზოგადოებრივ ცენტრში ისარგებლებენ „ლიბერთი ბანკისა" და „მაგთიკომის" მომსახურებით. ადგილობრივებს ყველა ამ სერვისისთვის სოფლიდან გასვლა აღარ მოუწევთ, რაც მათ დროსა და ფინანსებს დაზოგავს. საზოგადოებრივ ცენტრში იმუშავებს უფასო ინტერნეტი, კომპიუტერები და ვიდეოკონფერენციის აპარატურა. აქვე განთავსებული იქნება ელექტრონული ბიბლიოთეკაც. საზოგადოებრივი ცენტრის თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილი საკონფერენციო დარბაზით სარგებლობა მკვიდრ მოსახლეობასთან ერთად ცენტრალურ და ადგილობრივ ხელისუფლებას, სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლებსაც შეეძლებათ.

„ნოტარიატის რეფორმის დამსახურებით, იანვრიდან გაჩნდებიან ნოტარიუსები საქართველოს ისეთ მუნიციპალიტეტებში, სადაც დამოუკიდებლობის შემგდომ არასდროს ყოფილა ნოტარიუსი და ხალხს უწევდა ავტობუსით მოგზაურობა, ელემენტარულად, ხელმონერის დამოწმებისთვის. ეს არის მთის რეგიონები, მაგალითად, რომ არა ეს რეფორმა, ვანში ჩვენ დღემდე ვიყავით ნოტარიუსის გარეშე.

მომავალი წლის გეგმაში გვაქვს „ნოტარიატის შესახებ" კანონის მეორე პაკეტი, რომელიც ნოტარიუსის დისციპლინურ პასუხისმგებლობას უფრო მაღალ ხარისხში აიყვანს და დახვეწს. ასევე, მომავალი წლის საკანონმდებლო გეგმაში, რომელსაც წარვუდგენთ ახალ პრემიერ-მინისტრს, იქნება სწორედ ნოტარიატის რეფორმის გაგრძელება", - აღნიშნავს იუსტიციის მინისტრი თეა წულუკიანი.

რამდენიმე კვირის წინ, იუსტიციის მინისტრმა მუნიციპალიტეტებში მოქმედ 37 ნოტარიუსს საჩუქრად კომპიუტერული ტექნიკა გადასცა.

კანონის თანახმად, მაღალმთიან დასახლებებსა და მუნიციპალიტეტებში ნოტარიუსები სამი წლის ვადით, სავალდებულო წესით, ინიშნებიან. სამწლიანი ვადის გასვლის შემდეგ მათ საქმიანობის გაგრძელება მათთვის სასურველ ქალაქსა თუ მუნიციპალიტეტში შეეძლებათ.

ნოტარიუსთა პალატა ახლად დანიშნულ ნოტარიუსებს სამი წლის განმავლობაში გაუწევს შესაბამის დახმარებას სანოტარო საქმიანობის სრულფასოვნად განსახორციელებლად.

სახელმწიფო სერვისებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა მაღალმთიან დასახლებებში მოსახლეობის დამაგრებასაც შეუწყობს ხელს.

ნოტარიუსთა დანიშვნის წესი, რომელსაც საქართველოს იუსტიციის მინისტრის მიერ დაწყებული რეფორმა ითვალისწინებს, ევროპის ბევრ ქვეყანაში (გერმანია, იტალია, ესპანეთი) მოქმედებს.

ილია მარტყოფლიშვილი

„ეს არის დაუფასებლობა და უპატივისმცემლობა იმ ადამიანების მიმართ, რომლებიც მრავალი წელია, ძალისხმევას არ იშურებდნენ დედოფლისწყაროში ქარსაფარი ზოლების აღდგენისთვის"...

უცხოელმა ექსპერტებმა დედოფლისწყაროში გასულ ზაფხულს გაჩენილი მასშტაბური ხანძრის სატელიტური მონიტორინგის შედეგები გამოაქვეყნეს. ანგარიშის ავტორმა ფლორენს კლაინმა პრეზენტაცია ილიას უნივერსიტეტის დედოფლისწყაროს კვლევით ცენტრში შეკრებილ საზოგადოებას წარუდგინა. შეხვედრაზე აღინიშნა, რომ დედოფლისწყაროში დამწვარი ფართობების შესახებ ანალიზი უზრუნველყო აშშ-ს ეროვნული აერონავტიკის და კოსმოსური სივრცის, ნასა-ს ადმინისტრაციამ და მერილენდის უნივერსიტეტმა.

შეხვედრა ეროვნული სატყეო პროგრამის - „სასოფლო სამეურნეო ხანძრების ეკოსისტემის შეფასება საქართველოში" ფარგლებში გაიმართა. გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება GIZ-ი და ავსტრიის განვითარების სააგენტო ახორციელებენ „ბიომრავალფეროვნების ინტეგრირებული მართვა სამხრეთ კავკასიაში და მიწის დეგრადაცია" - გაუდაბნოებასთან ბრძოლის პროექტს.

შეხვედრაში საქართველოს გარემოს დაცვის სამინისტროს, სოფლის მეურნეობის სამინისტროს, დედოფლისწყაროს გამგეობის და საკრებულოს თანამშრომლები მონაწილეობდნენ. მოწვეულნი იყვნენ დედოფლისწყაროელი ფერმერები, მეცხვარეები, მიწათმოქმედები.

შეხვედრას უცხოელი ექსპერტების ჯგუფი ესწრებოდა, რომელთაც ადგილობრივების შენიშვნები და მოსაზრებები ჩაინიშნეს და მათ მიერ მიწოდილ მონაცემებს დასკვნის მომზადებისას გაითვალისწინებენ.

ხანძარი გასული წლის ივლისში, აგვისტოსა და სექტემბერში 33 700 ჰექტარზე მეტ სახნავ- სათეს ფართობზე გავრცელდა, რაც სასოფლო-სამეურნეო სავარგულების 79%-აღწევს. 2007 წლიდან დღემდე, ეს ყველაზე მაღალი მაჩვენებელია. გასულ ზაფხულს 29 ივლისს 10 ათას ჰექტარზე მეტი ერთ დღეში დაიწვა.

ანგარიშში ნათქვამია, რომ დედოფლისწყაროს სახანძრო სამსახურის მონაცემების მიხედვით ივლისის თვეში ხანძრის შედეგად ჯამში 26 302 ჰექტარი დაიწვა, აგვისტოში სულ 7 021 ჰექტარი, ხოლო სექტემბერში 443 ჰექტარი.

ლიკა გიორგაძე: **(გარემოს დაცვის სამინისტროს სატყეო პოლიტიკის სამმართველო):** „გარემოს დაცვის სამინისტროს ინიციატივით მიმდინარეობს მუშაობა საკანონმდებლო ინიციატივაზე, რომელიც გულისხმობს სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთების გადაწვის აკრძალვას. ასევე აქტიურად ვმუშაობთ გადაწვის ალტერნატიული გზების გამონახვაზე და ეს შეხვედრაც ამას ემსახურებოდა. გერმანელი და დანიელი ექსპერტები ჩამოვიდნენ დედოფლისწყაროში, რომ ეკონომიკური შეფასება მოხდეს. ექსპერტები დათვლიან, თუ რა ზიანი მოიტანა ამ ხანძრებმა და რა შედეგს მიიღებდნენ ადგილობრივები, სხვაგვარად რომ მოეხდინათ ნარჩენების მართვა. შეხვედრაზე წამოიჭრა საკითხები, რომ მოხდეს აგრარული ნარჩენების სხვადასხვა მიზნებით გამოყენება. მაგალითად სასუქად და საქონლის საკვებად. ამ შეხვედრაზე მოსაზრებების გაცვლა მოხდა. გამოიკვეთა ის, რომ ყველა მხარე მიესალმება მიწის გადაწვის აკრძალვას და ფერმერები და მეცხვარეებიც აცნობიერებენ გადაწვის უარყოფით მხარეებს. ბევრი ნაყოფიერი ინფორმაცია მივიღეთ დედოფლისწყაროელებისგანაც".

ვანია ვესტენბერგი **(გარემოსდაცვითი საკითხების ეკონომისტი):** „ჩვენი აქ ყოფნის მიზანია, ვისაუბროთ იმაზე, თუ რა ზიანი მოაქვს სასოფლო-სამეურნეო ნაკვეთების გადაწვას და რა ალტერნატივები უნდა შევთავაზოთ ფერმერებს, ნაცვლად სავარგულების გადაწვისა. აუცილებელია, ნებისმიერი შეთავაზებული ალტერნატივა სიცოცხლისუნარიანი და ადგილობრივებისთვის მომგებიანი იყოს. სწორედ ამიტომ ვიმყოფებით, დედოფლისწყაროში, რომ ადგილზე შევისწავლოთ მდგომარეობა და ეკონომიკური შეფასება მოვამზადოთ."

ბესიკ თოფჩიშვილი **(ფერმერი):** „ასეთი შეხვედრები საჭირო და აუცილებელია, რადგან, ჩვენი ტექნოლოგიები, რასაც აქამდე ვიყენებდით, მოძველებულია და აუცილებელია, ვიმსჯელოთ, როგორ ავიცილოთ ხანძრები. დღეს ფერმერს მატერიალური საშუალება არ აქვს იმისა, რომ გადაწვაზე უარი თქვას და ნარჩენებისგან სხვა გზებით გაწმინდოს ნაკვეთი, რათა სამომავლოდ მოამზადოს. თანამედროვე ტექნიკისა და საშუალებებით რომ გაიწმინდოს მიწის ნაკვეთი, შესაძლოა, ხარჯებიც ვერ დაფაროს მოსავალმა, ამდენად, გლეხს ურჩევნია, გადაწვას და მარტივად გაასუფთავოს ნაკვეთი... მავნე გზაა, მაგრამ ფინანსების დაზოგვის მიზნით, როცა სხვა გამოსავალს ვერ პოულობენ, ამ გზას ბევრი მიმართავს. მიმაჩნია, რომ ეს ტექნიკა ძვირადღირებულია და უფრო ხელმისაწვდომი უნდა იყოს. ან თავად „მექანიზატორის" ბაზაზე სახელმწიფომ შექმნას ისეთი მომსახურება, რომელიც ნარჩენებისგან გაწმენდს ნაკვეთებს და გადაწვას ავიცილებთ. მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში ყველანაირი ნარჩენის დამუშავება ხდება და აუცილებელია, აქაც დავნერგოთ ეს მეთოდი. ფერმერებიც ხელს შევუწყობთ".

ვაჟა ჩერქეზიშვილი **(ვაშლოვანის ადმინისტრაცია):** „ფერმერებმა და არენდატორებმაც მშვენივრად იციან, რომ გადაწვა კარგი ნაბიჯი არ არის, მაგრამ იმის გამო, რომ ფინანსურად არ შეუძლიათ სხვა გზას მიმართონ, უწევთ გადაწვან, ხანძრის მართვას კი ვერ ახერხებენ და ცეცხლი სხვა ტერიტორიებზეც ვრცელდება. ცოდნა არ არის იმის, თუ რა ალტერნატივები უნდა გამოიყენონ. ამიტომ გერმანული ფონდის მცდელობა ძალიან საშური საქმეა. ვაშლოვანის დაცული ტერიტორიებისთვისაც აქტუალურია ეს საკითხი, რადგან დაცული ტერიტორიების შიგნით მეცხოველეობის 45 ფერმა არსებობს, თავისი საძოვრებით და სამწუხაროდ, იქაც გადაწვის მანკიერი პრაქტიკა მოქმედებს. ამიტომ, ალტერნატივების შეთავაზება ძალიან საჭიროა. როცა სახელმწიფო ფერმერს რაღაცას უკრძალავს, იქვე ალტერნატიული გზებიც უნდა შესთავაზოს და ამ შეხვედრაზე სწორედ ეს საკითხები განვიხილეთ. ყველაზე მთავარი ისაა, რომ ამ ალტერნატიული გზების რეალიზება ცხოვრებაში პრაქტიკულად მოხდება და იმედი მაქვს, ასეც იქნება. ყველა ჩვენგანი თუ გაითავისებს, ხანძრის შემთხვევები შემცირდება."

შეხვედრას გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრი არ დასწრებია, თუმცა „შირაქმა" ამ საკითხზე გიგლა აგულაშვილის კომენტარის მოპოვება შეძლო.

გიგლა აგულაშვილი **(გარემოს დაცვის მინისტრი):** „როგორც კი ამ გზებზე გამოვიარეთ, საოცარი ემოცია დამეუფლა და ეს არ არის ახალი განცდა. მომხდარის შესახებ

(გაგრძელება გვ.8)

„ყველა საუკუნის ქართული პოეზია“...

პირველი ქართული პოეზიის ანთოლოგია გერმანულად 1887 წელს გამოიცა არტურ ლაისტის მიერ. ლაისტი სპეციალურად მოიწვია ილია ჭავჭავაძემ საქართველოში. პირველი ქართულ-გერმანული ტანდემიც მაშინ შედგა. არტურ ლაისტი იხსენებს, რომ მაშინ მან ქართული არ იცოდა და მთელი ლექსები ილიას მეცადინეობით საგურამოში თარგმნა. ეს ანთოლოგია, სადაც 11 ავტორი იყო შესული, ლაიფციგში გამოიცა. ალბათ სიმბოლურიცაა, რომ ახალი ანთოლოგიის პრეზენტაცია სწორედ ლაიფციგში შედგება. მას შემდეგ კიდევ ორი ანთოლოგია გამოიცა გერმანულ ენაზე. თუმცა 50-წლიანი პაუზა საკმაოდ დიდი დრო აღმოჩნდა იმისთვის, რომ გერმანელ ქართველოლოგებსა და პოეზიის მოყვარულებში გარკვეული „შიმშილი“ გაჩენილიყო.

გამომცემლობა POP Verlag-მა, ქართული წიგნის ეროვნული ცენტრის ხელშეწყობით სამწლიანი უწყვეტი მუშაობის შემდეგ, გერმანულად თარგმნა და გამოსცა ქართული პოეზიის ანთოლოგია, რომლის პირველი გერმანულად თარგმნა და გამოსცა ქართული პოეზიის ანთოლოგია, რომლის პირველი პრეზენტაციაც 15 იანვარს გოეთეს ინსტიტუტში გაიმართა. კრებულმა 83 ქართველი პოეტის სამასამდე ლექსი გააერთიანა. წიგნს 80-წუთიანი აუდიოდისკიც მოჰყვება, 37 თანამედროვე ავტორის თითო ლექსის ჩანაწერით. ანთოლოგია ნინო პოპიაშვილმა და გერტ რობერტ გრიუნერტმა შეადგინეს და მასში ახალი, დღემდე გამოუქვეყნებელი, თარგმანები შევიდა. ანთოლოგიის ტირაჟი 1000 ეგზემპლარს შეადგენს და სამ გერმანულენოვან ქვეყანაში გავრცელდება-შვეიცარიაში, ავსტრიასა და გერმანიაში.

„ყველა ავტორს მოაქვს თავისი რიტმიკა, განწყობა. ვიწყებთ გალაქტიონით, ქართული პოეზიის ერთ-ერთი ყველაზე ღირსეული და თვალსაჩინო წარმომადგენლით, რომლის ხმაც შემოგვინახა ისტორიამ, და შემდეგ უკვე ყველა თანამედროვე, ცოცხალი ავტორია“-ამბობს ნინო პოპიაშვილი.

პოეტ ნიკა ჯორჯანელს ახლახან დასტამბული ქართული პოეზიის გერმანულენოვანი ანთოლოგია უჭირავს და თავისსავე გერმანულ ენაზე ნათარგმნ ლექსს კითხულობს. ნიკას გაუმართლა, მან ეს ენა კარგად იცის და შეუძლია შეაფასოს, შეადაროს, გერმანულენოვანი მკითხველის ყურით წაიკითხოს თავისი ლექსი. ნიკა ერთ-ერთია იმ ქართველ პოეტებს შორის, ვისი რამდენიმე ლექსიც ქართული პოეზიის გერმანულენოვან ანთოლოგიაში შევიდა.

პოეტ ირმა შიოლაშვილისთვისაც ახლობელი და გასაგებია გერმანულ ენაზე ნათარგმნი მისი ლექსები. ანთოლოგიის შესახებ აზრი ირმას ვკითხეთ, რომელიც გერმანიაში ცხოვრობს და მოღვაწეობს და გერმანელი ხალხის დამოკიდებულება, პოეზიისა და ,ზოგადად, ხელოვნების მიმართ კარგადაა ნაცნობი:

ირმა შიოლაშვილი: „ამ ანთოლოგიის გამოცემით გერმანელ მკითხველს საშუალება ექნება, გაიცნოს სიტყვაში ჩატეული ქართული სული. ყოველთვის ვამბობდი და კიდევ ერთხელ გავიმეორებ, რომ ქართველებს დიდი პოეტური კულტურა და არაჩვეულებრივი პოეზია გვაქვს. ჩემმა ერმა მძიმე კაპიტალიზმის დროსაც მოახერხა, პოეზიის ქვეყანად დარჩენილიყო. სასიხარულოა, რომ ასეთი ერის პოეზია გემოვნებიანად შერჩეული მიეწოდება ევროპელ მკითხველს. ჩემთვის ისიც სასიხარულოა, რომ წიგნი იმ გერმანულმა გამომცემლობამ დაბეჭდა, რომელმაც 2012 წელს ჩემი ლექსების გერმანულენოვანი კრებული გამოსცა. უკვე იგეგმება ანთოლოგიის მასშტაბური პრეზენტაციები გერმანიაში და ეჭვი არ მეპარება, რომ ქართული პოეზია გერმანელი მკითხველის გულებამდე მიაღწევს“.

POP Verlag-ი კი პატარა გამომცემლობაა, რომელმაც ეს წიგნი დასტამბა. ვგულისხმობ, პატარას გერმანიის მასშტაბისათვის. დაახლოებით 50-ზე მეტი გერმანული გამომცემლობისგან განსხვავებით, სწორედ ის დათანხმდა გერტ რობერტ გრიუნერტის შეთავაზებაზე, გამოეცა ქართული პოეზიის ანთოლოგია - ცხადია, თუ თანადამფინანსებელი გამოჩნდებოდა. ეს პირობა არავის გაჰკვირვებია: საგამომცემლო საქმის ექსპერტები და, ზოგადად, გამომცემლებიც - საქართველოშიც და მის ფარგლებს გარეთაც - არ მალავენ, რომ პოეზიის ბეჭდვა არაკომერციული საქმეა. ქართული პოეზიის გერმანულ ენაზე ნათარგმნი ანთოლოგიის შემდგენელი ნინო პოპიაშვილი იხსენებს, რომ ის და გერტი მუშაობას მაინც განაგრძობდნენ და იმედს არ კარგავდნენ, რომ სამი წლის შრომას ბედნიერი დასასრული ექნებოდა: ქართველი პოეტების ლექსები გერმანულენოვან მკითხველამდე მაინც მიაღწევდა. და ასეც მოხდა. გამომცემელი და მწერალი ტრაიან პოპი შეთავაზებას დასთანხმდა, პროექტს საქართველოს მხრიდან მხარდაჭერა ქართული წიგნის ეროვნულმა ცენტრმა გამოუცხადა.

„მართლაც, სამი წელი გრძელდებოდა ამ ანთოლოგიაზე მუშაობა. შედგენის პროცესი იყო ძალიან რთული და შრომატევადი. თარგმანიც რთული და საინტერესო პროცესი იყო. ვთარგმნიდით ტანდემში - ქართველი მთარგმნელი და გერმანელი პოეტი ერთად. იმდენი შეკითხვა ჩნდებოდა, იმდენი რამის განმარტება და ახსნა იყო საჭირო, რომ ქართული პოეზია სრულყოფილად მიგვეტანა მათთვის“.

თარგმნიდნენ თავად გერტ რობერტ გრიუნერტი, შტეფი ხოტივარი-იუნგერი, ნაირა გელაშვილი, მაია ლისოვსკი, ნინო პოპიაშვილი, შორენა შამანაძე და თამარა ზიგერი. ყველა თარგმანი ახალია. ზოგი ავტორი გერმანულად პირველად ითარგმნა. მასში თითქმის ყველა საუკუნის ქართველი პოეტის ლექსები გაერთიანდა. წიგნის სამუშაო სათაურიც ასეთი იყო, გვეუბნება ნინო პოპიაშვილი, - „ყველა საუკუნის ქართული პოეზია“:

„აქ არის ხალხური ტექსტები, სასულიერო ტექსტები, მაგალითად, იოანე ზოსიმეს „ქებაი და დიდებაი ქართულისა ენისაი“, „ვეფხისტყაოსნის“ ორი თავის ახალი თარგმანი, ჩვენი კლასიკოსები და თანამედროვე პოეტები. მათი პოეზიის გერმანულად ამეტყველება კი გერმანელი პოეტის გერტ გრიუნერტის დიდი დამსახურებაა“.

„ეს არ არის სრულყოფილი ანთოლოგია და, შესაძლოა, ვინმემ თარგმანებიც გააკრიტიკოს, მაგრამ მართლა ძალიან ვეცადეთ. ყველა ლექსს, ყველა სტრიქონის თარგმანს აქვს თავისი ისტორია “, - გვეუბნება ნინო პოპაშვილი. წიგნი მთლიანად გერმანულ ენაზეა და, როგორც მისი გამომცემელიც აღნიშნავს, ის ახლა უკვე გერმანელ მკითხველს ეკუთვნის. ლექსებს ახლავს მოკლე ცნობები ავტორების შესახებ. თავად ლექსები თემატურადაა დალაგებული, ამიტომ არ უნდა გაგიკვირდეთ თუ, მაგალითად, იოანე ზოსიმეს გვერდით რომელიმე თანამედროვე ავტორის ლექსი შეგხვდებათ - მარადიულმა თემებმა საუკუნე არ იცის, მათზე ყველა პოეტი წერდა და წერს. ლიტერატურის კრიტიკოსის და გერმანული ენიდან მთარგმნელის ლევან ბრეგაძისათვის სწორედ ეს მოულოდნელი ქრონოლოგია აღმოჩნდა საინტერესო:

„ჩვენ არაჩვეულებრივი პოეზია გვაქვს და თუ ის უცხოელი მკითხველისათვის კარგად არის მიწოდებული, სრულყოფილად ნათარგმნი, ეს პროცესი -პოეზიასთან ზიარებისა - კიდევ უფრო საინტერესო ხდება, განსაკუთრებით კი მათთვის, ვისაც პოეზია გამოკვეთილად უყვარს. მე ისიც ძალიან მომეწონა, ლექსები ამ კრებულში თემატურად რომ არის დალაგებული. საინტერესოა, რომელი ლექსი რომელი რუბრიკის ქვეშ მოხვდა, ესა თუ ის თემა რომელმა პოეტმა როგორ გაშალა“.

ჯერჯერობით გერმანია ერთადერთი ქვეყანაა, რომელიც ქართული კულტურის პოპულარიზაციაზე ყველაზე მეტად ზრუნავსო, თავისი დაკვირვება გაგვიზიარა პოეტმა შალვა ბაკურაძემ. მან გერმანული არ იცის და ამბობს, ალბათ, როგორც გერმანელებისთვის არის რაღაც მისტიკური ქართულ ანბანში, ასეა ჩემთვისაც, როცა ჩემს მათ ენაზე ნათარგმნ ლექსებს ვხედავო. მაინც როგორ გგონია, რას იპოვის გერმანელი და, ზოგადად, გერმანულენოვანი მკითხველი ქართულ პოეზიაში-მეთქი, ვკითხე შალვას:

„მე მგონია, რომ შორეული ავტორებიდან დღევანდლამდე ჩვენს პოეზიაში სევდასთან დაბრუნებას იპოვიან. სხვათა შორის, რუსებმაც გამოსცეს ცოტა ხნის წინ თანამედროვე პოეზიის ანთოლოგია და ასეთი შთაბეჭდილება დარჩათ, რომ ყველა ავტორი ტკივილზე წერსო. მე მგონია, რომ ქართული პოეზიის მისტიფიკაცია, ერთგვარი დაბნელება 90-იან წლებში დაიწყო და, ალბათ, პირველი ანდრო ბუაჩიძე იყო, ვინც გადამტყდარი ლექსები დაწერა და შემდეგ მოჰყვა და მოჰყვა, ბევრი ვიტირეთ მას მერეც. მგონია, რომ დღემდე ვაგრძელებთ ამ ტირილს. ქართული პოეზია, მე თუ მკითხავთ, დიდი ტირილის პოეზიაა“.

სამასი ლექსიდან ყველა მკითხველი, ალბათ, თავისას გამოარჩევს, თავის ავტორსაც გადაეყრება. შალვა ბაკურაძე არ გამორიცხავს, რომ შესაძლოა ამ შეხვედრას მოჰყვეს გაგრძელებაც და ცალკეული ავტორის ერთი და ორი ლექსი კი არა, მთელი კრებულიც ითარგმნოს. როგორც შალვა ამბობს, ქართული პოეზიის ეს კრებული ქვაზე დატოვებულ ამონაკაწრს ჰგავს, რომელიც უნდა გაიშიფროს:

„მე ასე მგონია. ეს წიგნი ქვაზე დატოვებულ ამონაკაწრს ჰგავს, რომელიც, ადრე თუ გვიან, უნდა გაიშიფროს. ყველა ავტორს ვერ გვექნება იმის იმედი, რომ მაინცდამაინც ჩვენი ტექსტი გაიშიფრება, მაგრამ ყოველთვის ასეა, მსგავ ანთოლოგიებში ყველა პოულობს თავისთვის საინტერესი ავტორს და ინტერესდება ამ ავტორის შემოქმედებით. იმედია, ამის შემდეგ გერმანულად გამოვა არა მხოლოდ ანთოლოგიები, არამედ ცალკეული ავტორების ლექსების კრებულებიც. იქნებ, ისეთი ავტორითაც დაინტერესდნენ, რომლითაც ჩვენ არ ვართ დაინტერესებულები დიდად. მაინც გვერდიდან დანახული უფრო საინტერესოა“.

ეს კი იმ ავტორების ჩამონათვალია, რომელთა ლექსებიც ამ კრებულშია შესული: იოანე ზოსიმე,დავით აღმაშენებელი,ჩახრუხაძე, შოთა რუსთაველი, დავით გურამიშვილი, ბესარიონ გაბაშვილი, ალექსანდრე ჭავჭავაძე, გრიგოლ ორბელიანი, ნიკოლოზ ბარათაშვილი, ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, რაფიელ ერისთავი, ვაჟა-ფშაველა, გალაკტიონ ტაბიძე, გიორგი ლეონიძე, ტიციან ტაბიძე, ვალერიან გაფრინდაშვილი, პაოლო იაშვილი, კოლაუ ნადირაძე, სიმონ ჩიქოვანი, გრიგოლ რობაქიძე, კონსტანტინე გამსახურდია, ლადო ასათიანი, მირზა გელოვანი, ტერენტი გრანელი, ნიკო სამადაშვილი, იოსებ ნონეშვილი, შოთა ნიშნიანიძე, შოთა ჩანტლაძე, გაბრიელ ჯაბუშანური, ოთარ ჭილაძე, ოთარ ჭელიძე, ირაკლი აბაშიძე, მორის ფოცხიშვილი, მუხრან მაჭავარიანი, მურმან ლებანიძე, ბესიკ ხარანაული, ვახტანგ ჯავახაძე, იზა ორჯონიკიძე, გივი გეგეჭკორი, თამაზ ჭილაძე, ანა კალანდაძე, ესმა ონიანი, ლია სტურუა, ჯანსუღ ჩარკვიანი, გივი ალხაზიშვილი, ტარიელ ჭანტურია, კარლო კაჭარავა, ნაირა გელაშვილი, გურამ ოდიშარია, დათო მაღრაძე, დათო ბარბაქაძე, ზურაბ რთველიაშვილი, ზვიად რატიანი, შოთა იათაშვილი, გიორგი ლობჟანიძე, ცირა ბარბაქაძე, ეკა ბაქრაძე, შალვა ბაკურაძე, ირმა შიოლაშვილი, ლელა სამნიაშვილი, რეზო გეთიაშვილი, ცირა ყურაშვილი, გაგა ნახუცრიშვილი, ეკა ქევანიშვილი, რატი ამაღლობელი, გიორგი კეკელიძე, დიანა ანფიმიადი, ბელა ჩეკურიშვილი, ირაკლი კაკაბაძე, კატო ჯავახიშვილი, ნინო სადღობელაშვილი, ქეთი თუთბერიძე, ალექს ჩიღვინაძე, პაატა შამუგია, ნიკა ჯორჯანელი, ლია ლიქოკელი, ნიკო გომელაური, დავით დეფი, ირაკლი ჩარკვიანი, ხალხური ლექსები.

გოეთეს ინსტიტუტში წარდგენის შემდეგ წიგნის პირველი, ყველაზე დიდი პრეზენტაცია ლაიფციგის წიგნის ბაზრობაზე 19-20 მარტს არის დაგეგმილი, რის შემდეგაც წიგნი, თავის ავტორებიანად, მოგზაურობას დაიწყებს. როგორც ნინო პოპიაშვილმა გვითხრა, გერტ გრიუნერტს დიდი სურვილი აქვს, გერმანულენოვანი მკითხველისათვის ქართველი ავტორების კითხვის საღამოებიც მოაწყოს. მანამდე კი ქართველი პოეტების ნაწილის ხმას ისინი წიგნზე დართული კომპაქტდისკიდანაც გაიგონებენ და ნახავენ, როგორ ჟღერს ქართული პოეზია.

ინგა შიოლაშვილი

ხალხის აზრით...

ალბათ, ყველას გინახავთ, რაიონის გამგეობის მესამე სართულზე გამგეობის კაბინეტის მისალებში მომლოდინე მოქალაქეები, რომლებიც, ძირითადად, ორშაბათ დღეს იყრიან ხოლმე თავს. ვის არ იხილავთ აქ – გაჭირვებულს, ავადმყოფს, სამსახურის უფროსებს, თუ უბრალოდ დასაქმების მოლოდინში მყოფ ადამიანებს. ისინი საათობით ელიან გამგებელთან შეხვედრას და ზოგიერთს ჰგონია, რომ თანამდებობის პირი „რბილ სავარძელშია მოკალათებული," მისი კაბინეტიდან კი ხალხის პრობლემები სხვაგვარად ჩანს. სინამდვილეში, თანამდებობის მიღმა საკმაოდ დამღლელი და საპასუხისმგებლო სამუშაო იმალება.

2015 წელი მიიწურა და ჩვენ გადავწყვიტეთ, სწორედ ამ ერთი წლის მაგალითის სტატისტიკით განგვეხილა ჩვენი გამგებლის, ბატონი ნიკოლოზ ჯანიაშვილის მუშაობა. აქედან გამომდინარე, მოვიკვლიეთ თუ რამდენი განცხადება შევიდა ამ ერთი წლის მანძილზე გამგებლის სახელზე მოქალაქეებისგან, აქედან რამდენი იქნა დაკმაყოფილებული და რამდენი – არა. აღნიშნული სტატისტიკის გამოთხოვამდე კი, მოსახლეობაში გავედით და თითქმის ყველა ფენის ადამიანში ჩავატარეთ შემდეგი სახის გამოკითხვა.

-ყოფილან თუ არა რაიონის გამგებელთან მიღებაზე, ჩაუყენებიათ თუ არა საქმის კურსში, რომ მათ წინაშე რაიმე სახის პრობლემა არსებობს და რამდენად დამაკმაყოფილებელი ყოფილა მათი ვიზიტი გამგებელთან. ისინი, ვინც არასდროს შეხვედრია გამგებელს, რომ მიეცეთ საშუალება ბატონ ნიკოლოზთან შეხვედრის, რას მოსთხოვდნენ მას, რის მოგვარებას დააყენებდნენ დღის წესრიგში უპირველეს საკითხად, გინდ რაიონის მასშტაბით არსებული პრობლემატიკიდან და გინდ პირადი პრობლემიდან გამომდინარე?!

-ჩვენს მიერ დასმულ კითხვაზე საინტერესო და სხვადასხვაგვარი შინაარსის პასუხები მივიღეთ, თუმცა, იყო ორი ერთი და იგივე საკითხი, რომელსაც გამოკითხულთაგან ყველა ასახელებდა, ეს გახლდათ დასაქმება და ზაფხულის სეზონზე რაიონისთვის სასმელი წყლის საკითხის მოგვარება.

- ბესიკ გიგოლაშვილი, **ფსიქოლოგი** - გამგებელთან შეხვედრაზე არასოდეს ვყოფილვარ, ამბობენ, რომ ძალიან კარგი ადამიანიაო, თუმცა, ჩემთვის ძნელად წარმოსადგენია, რომ მე ის რაიმე პრობლემით შევაწუხო. არ ვთვლი საჭიროდ, ზედმეტად ვინმეს ჩემი აზრები მოვახვიო თავს, თუნდაც ეს ეხებოდეს რაიონის გამგებელს. ზოგადი სიტუაცია ასეთია, მსოფლიოს მასშტაბით უკვე ჩამოყალიბდნენ უკიდურესად გაჭირვებულები და მდიდრები, ჩვენს ირგვლივაც ვხედავთ, რომ მოსახლეობის უმეტესობა გაჭირვებას განიცდის, დასამალი აღარაა, რომ ხალხს პურის ფული ენატრება, რომ სახლში შვილებს საჭმელი მიუტანოს, ეს რეალობა არც ისე შორსაა ჩვენგან, გახვალ ქუჩაში და ამას, გინდა თუ არ გინდა, წააწყდები, რაც მე ძალიან მწყინს. ზოგადად დადგენილია, რომ მსოფლიო ფინანსების 56 % -ს ფინანსური მაგნატები განაგებენ, ხოლო დარჩენილ 44% კი უკიდურეს ღარიბებზე ნაწილდება და მასზეც არ მიუწვდებათ ხელი. ძალიან ცუდი რამ ხდება, რომ დოლარის კურსმა ასე აიწია და ჩვენი ეროვნული ვალუტა გაუფასურდა, რამაც ხალხიც გაჭირვებაში ჩააგდო. გამოსავალს, ჩვენი რაიონის მასშტაბით ამ სიტუაციიდან ვხედავ იმაში, რომ ბალანსს დავიცავდი. მაგალითად, მსხვილი მიწების მფლობელებს, ვისაც ასობით ჰექტარი მიწები აქვთ და ისედაც კარგ მოგებას ნახულობენ, სწორედ მათ საჯარო სამსახურს და 700 და 1000 ლარიან ხელფასებს აღარ ვუბოძებდი. მათ კი არ უნდა მისცენ მაღალხელფასიანი სამსახურები, არამედ, პირიქით, ინტელიგენციის ის ნაწილი უნდა დაასაქმონ, ვისაც არც მიწა დარჩა და არც სხვა რაიმე შემოსავალი... აი, ასეთი პრინციპით უნდა დააბალანსოს მოსახლეობის შემოსავლითი ნაწილი, რათა ხელფასიც და მიწებიც სულ ერთეულების ხელში არ მოხვდეს და მეორე მხარე მთლიანად მშიერი არ დარჩს. ეს იქნება ჩემი რეკომენდაცია.

- მარინე ბაბაიანცი, **სავაჭრო ცენტრ „უნივერსალის" თანამშრომელი** - პირადად მე გამგებელთან არც ვყოფილვარ და არც მივალ, ისე, ამბობენ, კარგი ახალგაზრდააო, კარგი მიღება იცისო, თავაზიანი ადამიანიაო და ძალიან კარგად ესმის თავის სამუშაოო. პირადად მე და მეუღლე ვმუშაობთ, სამსახურები გვაქვს და არ გვიჭირს, მაგრამ ხალხს რომ უჭირს და ისე უჭირს, რომ საჭმელი თამამად ვერ უყიდია, ეს გულისტკენა ფსიქოლოგიურად ჩვენზეც მოქმედებს. ჩემი თხოვნა იქნებოდა, მეტი დასაქმებული ყოფილიყო რაიონში, ხალხში მეტი ფული იყოს, რომ გაბედულად უყიდონ შვილებს თუ მოხუცებს პროდუქტი და საჭმელზე მაინც არ დასწყდეთ გული. ჩვენთან შემოდიან მოხუცები, პენსიონერები, რომლებიც დაჰყურებენ პროდუქტს, განსაკუთრებით ხორცეულს, ძეხვეულს და დანანებით, გულწრფელად აღიარებენ შემდეგ სიტყვებს, - გვინდა ყიდვა, მაგრამ ფული არ გვაქვსო. ეს პირადად ჩემთვის ძალიან მტკივნეულია. ჩემი სურვილია, რომ ყველა ეკონომიურად წელში გამართული იყოს და ყველას სახეზე ბედნიერება ეწეროს. მთლიანობაში რაიონს წყლის პრობლემაც აქვს, კარგი იქნებოდა, თუ ზაფხულში გვალვა და უწყლოობა არ შეგვაწუხებდა, ხოლო ზამთარში ღამით წყლის ხშირი გადაკეტვები და დილით ჰაერის ხმაური.

- ციალა გოგილაშვილი, **პედაგოგი,** - გამგებელთან შეხვედრაზე არ ვყოფილვარ. თუ ის ჩემს წინაშე იდგებოდა ახლა, ვთხოვდი, რომ ზაფხულისთვის წყლის პრობლემა მოეგვარებინა. მე რუსული სკოლის უკან კორპუსების მაცხოვრებელი ვარ და იქ რამდენჯერმე გზების გადათხრა მოხდა, ნარჩენები კი არ გაუტანიათ, ნარჩენების გატანას და გზების მოხრეშვას თუ მოაგვარებდნენ, ვფიქრობ, კარგი იქნებოდა. აგერ, ამჯერად თოვლი მოგვვიდა და ისე მოხდა, რომ ყინვა გზებზე სქელ ფენად დარჩა, გვიჭირს სიარული, სახლიდან გამოვედი და შიშით დავდივარ, რომ არ წავიქცე.

- ნათელა ჯანაშვილი, **დიასახლისი,** - გამგებელთან მიღებაზე არ ვყოფილვარ, მაგრამ ვიცი, რომ ჩემი შვილი რამდენჯერმე იყო, ის 31 წლის ახალგაზრდაა, უმაღლესი განათლებით, სამუშაო სტაჟით და გამოცდილებით, ჩემს პრობლემას გამგებელს თუ ვთხოვდი, მისი დასაქმებაა, მე სხვა არაფერი მაწუხებს. ისე, როგორც დიასახლისი, ბევრი რამის ყიდვას ვეღარ ვბედავ და ვმუშაობ ჩემს თავზე, რომ ხელმომჭირნეობას მივეჩვიო.

- ლილი ბეგაშვილი, **ექიმი,** - რაღა თქმა უნდა, ისეთი პრობლემა არ შემქმნია უფლის მადლით, რომ ჩვენი გამგებლის შეწუხება დამდგარიყო ჩემთვის დღის წესრიგში, თუმცა, თუ მომიხდებოდა მასთან შეხვედრა, როგორც მედიცინის მუშაკი, მოვითხოვდი, დროულად დასრულებულიყო ახალი საავადმყოფოს მშენებლობა, რადგან დიდი მოლოდინით მოველით ამ დღეს. უბრალოდ, პაციენტები გვეცოდებიან, არაკომფორტულ გარემოში რომ უხდებათ ყოფნა, მათ ცივ დერეფნებში უწევთ რიგში დგომა, ჩვენ კი, ხან ელექტროგამათბობელის გამოყენება გვიწევს, ხანაც სახლიდან მოტანილი შეშით გათბობა, რაც ძალიან დამღლელია. როგორც რაიონის მოქალაქე, მაწუხებს კიდევ ზაფხულობით გრაფიკით მიღებული წყლის რეჟიმი, ხოლო ზამთარში, მისი ხშირი გადაკეტვა და ონკანების მოშლა. აი, ჩემი პრობლემები, რასაც გამგებლის წინაშე წამოვჭრიდი.

- სოფელ სამრეკლოს მკვიდრი, 59 წლის ქალბატონი - სათქმელი ბევრი მაქვს და სათხოვარიც, მაგრამ გამგებელთან მისვლა ნამდვილად მერიდება. პირადად მე ვმუშაობ და ხელფასი 120 ლარი მაქვს, ეს არის მთელი ჩვენი ხუთსულიანი ოჯახის ყოველთვიური შემოსავალი. ოჯახში ახალი სული გვყვავს, პატარძალი მოვიყვანეთ და ჩაცმა-დახურვაზე აღარც ვსაუბრობთ, ჭამით დავკმაყოფილდეთ, მხოლოდ ამაზე ვფიქრობთ. როცა ახალი სულია ოჯახში, მას ხომ სხვანაირი გამასპინძლება და კვება უნდა, მასთან, მიმსვლელი-მომსვლელიც ბევრია. სირცხვილით ვინვებით ხან მე და ჩემი მეუღლე. მე არას ვჩივი, ქმარი და შვილი უბრალო მუშებად მაინც დასაქმდნენ, რომ პროდუქტის ყიდვა არ გაგვიჭირდეს. დიაბეტიანი ქალი ვარ, წამალი და რეჟიმული კვება მინდა, მაგრამ ჩემს რეჟიმს ვინ დაეძებს, ხან კვირები გავა,რომ წამალს ვერ ვყიდულობ, ასე ვარ, ვიდრე ვიცოცხლებ, ვიცოცხლებ. გამგებელს ვთხოვდი, რომ ჩვენნაირ გაჭირვებულ ხალხზე იფიქროს, გვამუშაონ, გამოგვიყენონ და საარსებო მინიმუმი მოგვცენ, რომ ლუკმა არ გაგვიჭირდეს!

- ტაქსის მძღოლი, 40 წლისსათხოვარი ბევრი გვაქვს, რაიმე უნდა გაკეთდეს ჩვენს რაიონში ისეთი, რომ უბრალო ხალხი მუშებად დასაქმდეს, რომ ხალხში ფული გაჩნდეს, რომ მგზავრობამაც მოიმატოს. რაიონს უბრალო პროფესიის ადამიანებისთვის საწარმოები სჭირდება, შრომა უნდა დაფასდეს. მე უმაღლესი მაქვს დამთავრებული, პროფესიით ეკონომისტი ვარ, მაგრამ ვტაქსაობ და ამით ვარჩენ ოჯახს, სამი შვილი მყავს, სკოლაში დადიან, მათ ჩაცმა და ჭამა უნდათ, სკოლიდან რომ მოვლენ, სითბო სჭირდებათ, შეშის ფულია საჭირო და ათასი წვრილმანი. დღეს ველოდები და მგზავრი არ მოდის, ერთი ადამიანი მყავს, ვნატრობ, ორი მგზავრი კიდე მოვიდეს, დაემატოს, რომ დღეს აქეთ გზობით მაინც როგორმე წავიდე, რომ ოჯახში ლუკმა შევიტანო, ცხოვრება ძალიან გაჭირდა, სამუშაო არსად არაა, დოლარი გაძვირდა, ლარი გაუფასურდა, შიშის თვალით ვუყურებ მომავალს...

- 33 წლის მგზავრი - პროფესიით იურისტი ვარ და ამდენი ხანი ვერც აქ, ვერც თბილისში ვერ დავსაქმებულვარ. ახალგაზრდა ვარ და მშობლებს შევყურებ, რასაც მომცემენ, იმით ვკმაყოფილდები, მუშად წასვლა უმაღლესი განათლების ახალგაზრდას მერიდება, თუ არ დავსაქმდი, ვერც დავქორწინდები, დავდივარ ასე, რაიონიდან თბილისში, თბილისიდან რაიონში და ასე გადის დრო.

- 53 წლის მოქალაქე, - 53 წლის ქალი ვარ, ვმუშაობ ას ლარზე, ასი ლარით რა უნდა ვუშველო ოჯახს, მაგრამ ისიც რომ არ მქონდეს და გამომეცალოს, საიდან რა მოვიტანო, ჯერ პენსიამდე ადრეა, 7 წელი მიკლია, თავს ხომ არ მოვიკლავ?! ვმუშაობ, რადგან იმედი მინდა მქონდეს, იქნებ რამე შეიცვალოს. გამგებელს რას ვთხოვდი?!

-სახლში მე, ჩემი ქმარი, ბიჭი, რძალი და ორი მცირეწლოვანი შვილიშვილი ვართ, არაფერი არ მინდა, რაიონში იყოს რაიმე ისეთი ორგანიზაცია, სადაც ქმარი ან შვილი დასაქმდებოდა. ასი ლარი დახმარება გვქონდა, ისიც მოგვიხსნეს, რის საფუძველზე, არ ვიცით, ის დახმარება ჩვენი შველა იყო, ახლა ჩვენი გაჭირვების პიკი დაიწყება, ბავშვებს რა ვაჭამოთ, მუშადაც ჭირს სამუშაო, თუმცა, რას მეკითხებით, თქვენ რა არ იცით, რა ხდება ქვეყანაზე?!

- 68 წლის ბაზარში მოვაჭრე - მე ვყოფილვარ გამგებელთან მიღებაზე, შვილო, მაგრამ ხომ იცით, ასეთ ხალხს არ უყვართ, რომ აწუხებენ, იმ ბიჭს კარგი სიტყვა - პასუხი აქვს, გულისხმიერად მიგიღებს, მაგრამ რა ქნას, რით დაეხმაროს ხალხს, როცა სამუშაო ადგილები სულ დაკავებულია, მის შესაძლებლობებში სხვა რაღა შედის, რა ქნას?! მე ერთ დახმარებას ვითხოვდი და იმას არ მაძლევენ, ბაზარში რომ ზიხარ, იმიტომაო... ბაზარი მე ფულებს მაყრის თავზე თუ რა? დახმარება რომ მქონდეს, სახლში წავიდოდი და დავეგდებოდი, ამ ხნის ქალს ბაზარში რა მინდა?!- თავი აღარ მაქვს ამ სიცივეში ჯდომის. მარტო პენსიით თავს ვერ გავიტან, ჭამით კი, მაგრამ გათბობა, რით გავთბე?! დახმარებით და პენსიით, ორივეთი კი, იოლას გავიდოდი, მაგრამ არ მაძლევენ...

43 წლის მოსამსახურე,- ორი უმაღლესი მაქვს დამთავრებული, 27 წელია, ერთ სისტემაში ვმუშაობ და საკმაოდ მაღალკვალიფიციური, პასუხისმგებლიანი მუშაკიც ვარ, მაგრამ ჩემდა სამწუხაროდ, დაბალანაზღაურებად სამსახურს შემოვრჩი მომავლის იმედით, დღესდღეობით ამ ხელფასით უკვე გაუსაძლია ჩემი არსებობა, რამდენიმე თვის წინ, ვიხვეწებოდი სულ უბრალო, თუნდაც მდივნის ადგილი მოეცათ, სადაც გაცილებით მაღალია ხელფასი, ვიდრე ჩემი, მინდოდა, ცოტა ეკონომიური შვება მეგრძნო, სწორედ ამის გამო გახლდით გამგებელთან, ის ძალიან თავაზიანია და კარგად მიმიღო, მესაუბრა და მისი კაბინეტიდან ღიმილიანი სახითაც გამოვედი, თუმცა, ვერაფერს დამპირდა... მთელი ცხოვრება ერთ სტრუქტურაში ვიყავი და არსაით ვიყურებოდი, ამ სიარულმა ერთი გამოცდილება შემძინა, ადამიანების სახეები კარგად დამანახა და შედეგად აღმოვაჩინე, რომ ეს ქვეყანა წინ იმიტომ ვერ წასულა, რომ ძალიან უვიცი და ყოვლად გაუზრდელი უფროსობაა. არ ვგულისხმობ გამგებელს, ის ძალიან კარგი ახალგაზრდაა და კმაყოფილი ვარ მისი გაზრდილობითა და დამოკიდებულებით, საუბარი მაქვს სხვებზე. გამგებელს მივუთითებდი, რომ კადრები და უფროსები პროფესიონალიზმის მიხედვით შეარჩიოს და პროფესიონალიზმთან ერთად მისი თავაზიანობა, ადამიანებთან დამიკიდებულება იკითხოს.

ნინო გოგბიაშვილი, **ახალგაზრდა დედა,**- ამ ხელმძღვანელობის პირობებში ორჯერ მომიხდა გამგეობაში მისვლა, ერთხელ დედამთილის ავადმყოფობის გამო, მკურნალობის თანხა გადაურიცხეს, შემდეგ შვილის ყოლის გამო ფული გვაჩუქა გამგეობამ, სამი შვილის დედა ვარ, მართალია, ახლა ცოტა გაჭირდა ცხოვრება, მაგრამ მადლობელი ვარ ჩვენი ყოფილი პრემიერის, იმისთვის, რომ სწორედ ჩემი მესამე შვილის გაჩენამდე ადრე დააკანონა მესამე შვილზე ყოველთვიურად 150 ლარის ჩუქება დედისთის, ეს ჩემთვის ძალიან დიდი შეღავათია და ყოველ თანხის აღებაზე ვლოცავ მას, ამასთან, უფროსი შვილები საბავშვო ბაღში დამყავს და მიხარია, რომ მათთვის გადასახადის გადახდა არ მიწევს, კვება კი იმისთანა აქვთ, რომ როგორც დედა, იმედიანად ვარ სახლში, ვიცი, რომ ბავშვები იქ გემრიელ და სასარგებლო საჭმელს მიირთმევენ.

ოფიციალური მონაცემებით 2015 წლის მანძილზე ჩვენი გამგებლის, ბატონი ნიკოლოზ ჯანიაშვილის სახელზე გამგეობაში 1998 განცხადებაა მოქალაქეებიდან შესული, აქედან დაკმაყოფილებულია 1815 განცხადება, 150 განცხადებაზე უარყოფითი პასუხი დაფიქსირდა, ხოლო განხილვის პროცესშია 33 განცხადება. განცხადებები სხვადასხვა შინაარსის გახლავთ, მოსახლეობისგან მოთხოვნებია ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის საკითხებზე, ბინის ქირით დაკმაყოფილებაზე, ეკონომიკის, ინფრასტრუქტურის და ზედამხედველობის საკითხებზე.

ვნახოთ, როგორი იქნება 2016 წელი ჩვენი გამგეობის მუშაობისთვის და რამდენად იქნება გათვალისწინებული ჩვენს მიერ გამოკითხული მოსახლეობის სოციალურ -ეკონომიკური მოთხოვნები მიმდინარე წლისთვის.

ლალი მეხრიშვილი

მიგრანტთა კრიზისი ევროპის ერთიანობას და შენგენის ზონას შეიწირავს?!

უნგრეთის მიერ სერბეთის საზღვარზე აგებული სასაზღვრო კედელი

გერმანიის ქალაქ კიოლნში ახალი წლის ღამეს მიგრანტთა მიერ მოწყობილი არეულობისა და თავდასხმების, ასევე შვედეთში მიგრანტი მოზარდის მიერ სპეციალური თავშესაფრის თანამშრომლის მოკვლის შემდეგ ევროპაში სულ უფრო და უფრო იზრდება აგრესია არაგული მიგრაციის მიმართ. სულ უფრო ბევრ ქვეყანაში ისმის ამ პროცესის საწინააღმდეგო განცხადებები. აშკარაა, მთელ დასავლეთ ევროპას ტოლერანტობის გამოცდის ჩაბარება მოუწევს... დღემდე სოციალურ ქსელებში მიყუჟულმა, მარგინალებად შერაცხულმა მულტიკულტურიზმის კრიტიკოსებმა და მემარჯვენე ნაციონალისტებმა თავი წამოყვეს. უცებ გაცოცხლდა ტოლერანტული ევროპისთვის შეუფერებელი პოლიტიკური მიმდინარეობა - პეგიდა -"ევროპის პატრიოტები დასავლეთის ისლამიზაციის წინააღმდეგ". სწორედ"პეგიდას ეგიდით გაიმართა 9 იანვარს კიოლნში ანტიისლამური მიტინგი,

ბოლო დღეების განმავლობაში ევროპის ლიდერების განწყობაც შეიცვალა სირიელი მიგრანტების მიმართ. ისინი უკვე ღიად აღიარებენ, რომ ევროპამ მიგრანტების კრიზისზე კონტროლი დაკარგა, ეს კი საშიშროებას უქმნის ევროპული ერთიანობის მომავალს.

- საფრანგეთის პრემიერ-მინისტრის, მანუელ ვალსის განცხადებით, ევროპამ შეიძლება დაკარგოს თავისი ისტორიული საფუძველი, რაც, სავარაუდოდ, შეიძლება უკვე რამდენიმე თვეში მოხდეს.
- გერმანიის ფინანსთა მინისტრის, ვოლფგანგ შოიბლეს თქმით, თუ შენგენის სისტემა განადგურდება, ევროპას სერიოზული საფრთხე დაემუქრება.
- ჰოლანდიის პრემიერ-მინისტრის, მარკ რუტეს განცხადებით, ევროპის ლიდერებს აქვთ 6-8 კვირა იმისათვის, რომ შენგენის სისტემა გადაარჩინონ.
- ევროკომისიის წარმომადგენლის ჟან-კლოდ იუნკერის განცხადებით, ევროპას ბოლო შანსი დარჩა. "შენგენის გარეშე ევროს აზრი არ ექნება".
- "ნურავის ექნება ილუზია, რომ ევროპაში ერთიანი ვალუტის მოქმედება შესაძლებელი იქნება, თუ საზღვრები ჩაიკეტა", - განაცხადა გერმანიის კანცლერმა ანგელა მერკელმა.

ყველასათვის ცნობილია, რომ შენგენის შეთანხმება უზრუნველყოფს ევროკავშირის ქვეყნებს შორის თავისუფალ გადაადგილებას და ეს არის ევროპული ერთიანობის ერთ-ერთი საყრდენი, ახლა კი ეს ყველაფერი იგნორირებულია - საზღვრებზე აღმართულია ბარიერები და წესდება სასაზღვრო კონტროლი.

ორი დღის წინ, საბერძნეთი გააფრთხილეს, რომ თუ მიგრანტთა ნაკადს ვერ გააკონტროლებს, შესაძლოა, შენგენის ზონიდან გარიცხონ. მაგრამ საინტერესოა, ევროკავშირის ლიდერები ხედავენ კი საფრთხის მთელ სიღრმეს? რთული დასაჯერებელია, რომ შესაძლებელია რამდენიმე თვეში საერთო ევროპული ბაზარი დაიშალოს, თუმცა პრობლემა ცხადია! **"ჩვენ აღარ გვაქვს ძალა გავუმკლავდეთ ამას" - ამბობს ჰოლანდიის პრემიერ მინისტრი მარკ რუტე.**

2015 წელს ევროპაში 1.83 მილიონი მიგრანტი შევიდა, აქედან მილიონ ადამიანზე მეტმა თავშესაფარი გერმანიაში ითხოვა. 2016 წელს კი თურქეთიდან და საბერძნეთიდან საზღვარი 35 ათასმა ადამიანმა უკვე გადაკვეთა.

გერმანიის ლიდერებმა უკვე არაერთხელ განაცხადეს, რომ მიგრანტები ევროპის ყველა ქვეყნის პრობლემაა, თუმცა ამ განცხადებას ყველა არ ეთანხმება. ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში ბევრ პოლიტიკოსს განსხვავებული მოსაზრება აქვს. ***მათი აზრით, მერკელმა თავად "დაუძახა" მიგრანტებს და სწორედ ისაა ყველაფერში დამნაშავე.***

ევროკომისიამ სცადა გადაეჭრა პრობლემა მიგრანტებსა და ევროკავშირის ქვეყნებს შორის. მხარეები შეთანხმდნენ, რომ ევროპის ქვეყნებს მიგრანტები გადაენაწილებინათ, თუმცა ზოგიერთი ქვეყანა იმით იყო უკმაყოფილო, რომ მიგრანტების გადანაწილების გადაწყვეტილება მიიღეს არა ერთხმად, არამედ, ხმების უმრავლესობით.

უნგრეთმა ააგო სასაზღვრო კედელი. გერმანიამ, ავსტრიამ, საფრანგეთმა, დანიამ, შვედეთმა და ნორვეგიამ დაიწყეს სასაზღვრო კონტროლი. ეს ყველაფერი კი შენგენის შეთანხმების შეჩერების ტოლფასია. ქვეყნები ამბობენ, რომ სასაზღვრო კონტროლი დროებითია, თუმცა ეძებენ გზებს მის გასაგრძელებლად. ევროპელ ლიდერთაგან ბევრი ფიქრობს, რომ შენგენის შეთანხმების გადარჩენა შეუძლებელია თუ ევროპის საზღვრებს მკაცრად არ დაიცავენ, კერძოდ, სათანადოდ შეამოწმონ შემოსული მიგრანტები და ყველა მსურველს არ გაუხსნან საზღვარი. ამიტომ ევროკომისია გამოდის ინიციატივით, შეიქმნას ევროპული სასაზღვრო და სანაპირო დაცვა, რომელსაც უკიდურეს შემთხვევებში, შეეძლება ევროპული ქვეყნების მთავრობების ნების საწინააღმდეგოდ მოქმედება. რა თქმა უნდა, ეს შეთავაზება დამატებით ზღუდავს სახელმწიფოების სუვერენიტეტს, ამიტომ ინიციატივა იწვევს კამათს, ხოლო თუ ახალი სტრუქტურა მაინც შეიქმნება, გაუგებარია, როგორ იმუშავებს მთავრობებს შორის უთანხმოების პირობებში?!

ზამთრისა და სიცივის მიუხედავად, მიგრანტების ნაკადი ევროპის ქვეყნებში მაინც არ წყდება. ყოველდღე საზღვარს დაახლოებით 2000-მდე ადამიანი კვეთს. ზოგიერთი ევროპელი ლიდერი ფიქრობს, რომ ასე გაგრძელება აღარ შეიძლება.

მოვლენები ცხადჰყოფს, თუ რამდენად რთული აღმოჩნდა საერთო ევროპული პასუხის მოძებნა მიგრანტების კრიზისზე. კონფლიქტი აშკარაა, და თავად ბავარიის ლიდერი ჰორსტ ზეეჰოფერი - მერკელის პოლიტიკური მოკავშირე, ღიად სვამს კითხვას იმის შესახებ, თუ რას მოუტანს ქვეყანას მიგრანტების ახალი ნაკადი."ეს იქნება ახალი საზოგადოება, მაგრამ აშკარაა, რომ გერმანიაში მცხოვრებთ არ სურთ გახდნენ ამ საზოგადოების წევრები".

გამოსავლის ძიებაში

ევროკავშირის ქვეყნებს მოუწევთ საკუთარი ფინანსური პოტენციალის გამოყენება, რათა დაარწმუნონ არაწევრი ქვეყნები, თავიანთ სახელმწიფოებში დატოვონ პოტენციური მიგრანტები.

ასე მაგალითად, გერმანიის ფინანსთა მინისტრმა უკვე განაცხადა, რომ საჭიროა დიდი ფინანსური ინვესტიცია, რათა გაუმჯობესდეს მიგრანტების ცხოვრება თურქეთში, იორდანიასა და ლიბანში არსებულ ბანაკებში, რომ ხალხს ამ ბანაკებიდან გაქცევის სურვილი არ გაუჩნდეს. გრძელვადიან პერსპექტივაში შესაძლოა ევოკავშირის ქვეყნებმა მხოლოდ მიგრანტი ოჯახები მიიღოს და არა ახალგაზრდა მამაკაცები.

„აფხაზი მაღალჩინოსნის სახლში გამართულ ნადიმზე, ქართველი ექიმების სადღეგრძელო არაერთხელ გაისმა“

ჟურნალისტი მანანა მაზიაშვილი "ფეისბუკის" საკუთარ გვერდზე მეტად ემოციურ ჩანაწერს აქვეყნებს:

"გალიდან ჩამოსულმა მეგობარმა დღეს გულისამაჩუყებელი ამბავი მიამბო: რამდენიმე თვის წინ ოჩამჩირეში აფხაზეთის უშიშროების სამსახურის ერთ-ერთი მაღალჩინოსნის ოჯახში ტრაგედია დატრიალდა. ოჯახის უფროსი ვაჟი სიმაღლიდან ჩამოვარდა და მძიმედ დაშავდა. საჭირო იყო სასწრაფო ოპერაცია, რომელსაც სოხუმში ვერ გააკეთებდნენ. ოჯახი ასეთი არჩევანის წინაშე დადგა: ან თბილისი, ან რუსეთის რომელიმე დიდი ქალაქი. თუმცა როგორც აფხაზი ექიმები ამბობდნენ, მოზარდის ბედს წუთები წყვეტდა და ოჯახმაც მოკლე გზა აირჩია - თბილისი. ავადმყოფი ზუგდიდიდან ჩასული რეანიმობილით წამოიყვანეს მარტო, მშობლებმა გაყოლა ვერ შეძლეს. თბილისში ქართველმა ნეიროქირურგებმა ურთულესი ოპერაცია გაუკეთეს, მთელმა საავადმყოფომ უპატრონა, მოუარა და გამოჯანმრთელებული გაამგზავრა ოჩამჩირეში. მოგვიანებით, მთელი გალი ლაპარაკობდა აფხაზი მაღალჩინოსნის სახლში გამართულ ნადიმზე, სადაც ქართველი ექიმების სადღეგრძელო არაერთხელ გაისმა. ამის მერე გალელებმა ერთი უცნაურობაც შეამჩნიეს: ენგურს გაღმა ექიმთან მიმავალ მგზავრებს პრობლემებს აღარ უქმნიან, თუმცა იქაურებს კარგად ახსოვთ, უფრო ადრე როგორ გარდაიცვალა მოზარდი, რომელსაც სასწრაფო ოპერაცია სჭიდებოდა, მაგრამ მოუწესრიგებელი დოკუმენტების მომიზეზებით ე.წ. საზღვარზე არ გაატარეს.

ჩემი მეგობარი მარწმუნებს, ამ ფაქტებს წყალი არ გაუვაო. თუ ვინმემ მოიგონა, არც ეს არის ცუდი, როგორც ჩანს, ენგურს გაღმა მცირედ, მაგრამ მაინც დათბა".

„ბავშვებს დედა მოუკლა, აყურებინა როგორ იცლებოდა ნინო სისხლისგან“

ვარკეთილში, შუამთის ქუჩაზე მდებარე ავარიული კორპუსი, სადაც ოდესღაც სკოლა იყო, ამჟამად კი მიუსაფართა თავშესაფარია, აქამდე ქვეყანაში არსებულ მძიმე სოციალურ ყოფას ასახავდა, ამჟამად კი შემზარავი ტრაგედიის ადგილადაც იქცა. კორპუსიდან რამდენიმე მეტრის მოშორებით რამდენიმე გასროლას ახალგაზრდა ცოლ-ქმრის სიცოცხლე ემსხვერპლა - ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის, სოფელ ქვიანის მცხოვრებმა, 30 წლის გიორგი დოლიძემ 28 წლის მეუღლე ნინო კილასონია, ფაქტობრივად, 2 მცირეწლოვანი შვილის თვალწინ, მოკლა, ცოტა ხანში კი თავი მოიკლა.

თვენახევრის წინ სოფელ ქვიანიდან ქმარს გამოქცეული ნინო კილასონია, 11 და 8 წლის შვილებთან ერთად, სწორედ ხსენებულ თავშესაფარში მცხოვრებ დის ოჯახს აფარებდა თავს; გაუსაძლისი სულიერი თუ მატერიალური მდგომარეობის ფონზე, ის გამუდმებით ეძებდა სამსახურს, 2 კვირის წინ კი ამავე ტერიტორიაზე მდებარე ხატების საამქროში დაიწყო მუშაობა. როგორც თავად, ასევე მისი შვილებიც მოუთმენლად ელოდნენ როდის აიღებდა დედა პირველ ხელფასს, რომელიც დაახლოებით 400 ლარს შეადგენდა. გარდაცვლილი ქალის დის თქმით, მის სიძეს გიორგი დოლიძეს არასოდეს უმუშავია, ამბობდა, რომ მუშაობა ფიზიკურად არ შეეძლო. დღეს, ამ ბავშვების მდგომარეობა, რომელთაც ნორმალურ საზოგადოებაში დაუყოვნებლივ დაუნიშნავდნენ ფსიქოლოგს, უმძიმესია. უბედურებას ისიც ემატება, რომ კილასონიების მშობლიური სახლი აბაშაში, ნინო კილასონიას მკვლელობამდე 3 დღით ადრე ისე დაიწვა, რომ იქედან აღარაფერი დარჩა. კილასონიები მიიჩნევენ, რომ: ***"მათმა სიძემ შინიდან გაქცეულ ცოლზე შურისძიება ამით დაიწყო, - ჯერ მშობლიური სახლი გადაუწვა აბაშაში, მერე კი, მოკლა".***

გარდაცვლილის და ქეთი კილასონია, რომელთანაც გარდაცვლილი იყო თავშეფარებული, მომხდარზე გვესაუბრა:

- ენითაუწერელი უბედურება დაგვემართა, არ ვიცი, სად არის ჩვენი საშველი. სახლიც აღარ გვაქვს, სადაც ჩემს დას ბოლო დღეებში დავასვენებდით. სიზმარში მგონია თავი. წარმოშობით აბაშელები ვართ; 6 და-ძმა ვიყავით, 16 წლის ძმა გამოგვაკლდა ავადმყოფობით და იმის სიკვდილი ვერ მოგვენელებინა, მასზე დარდმა დედაჩემი სიმსივნით დააავადა, ახლა ეს საშინელება კიდევ, როგორ უნდა გადავიტანოთ ან ჩვენმა უბედურმა დედამ, ან - ჩვენ?!

ეს რა გაგვიკეთა მკვლელმა, 16 წლის რომ გაიტაცა, იმის შემდეგ, 11 წლის განმავლობაში, ხომ სულ შიშსა და ცემაში ჰყავდა, ისიც და მისი შვილებიც; მაგრამ ამის მიუხედავად ჩემი საცოდავი და მაინც ლამაზი და კეთილი დარჩა. მიხაროდა, სადისტ ქმარს ბოლოს და ბოლოს რომ გამოერიდა, ვფიქრობდი, როგორი ყოჩაღია, - სამსახურს ხალხი წლობით ეძებს, მან კი ერთ თვეში ნახა; თურმე ტყუილად მიხაროდა, მაინც მისი წერა გახდა...

მრავალშვილიან ოჯახში გავიზარდეთ და დიდად არ გვილხინდა. არც ახლა გვილხინს, აბაშიდან თბილისში თავის სარჩენად წამოვედით და თავს ვაი-ვაგლახით ვირჩენთ კიდეც, მაგრამ სახლ-კარი არც ერთს არ გვაქვს. მეც ქმარ-შვილით ყოფილი სკოლის სარდაფში ვცხოვრობ, სადაც არანაირი ცხოვრების პირობები არ არის; სოციალურ კმაყოფაზე ვარ, მაგრამ როცა ნინომ მითხრა, - ჩემს ქმართან ცხოვრება აღარ შეიძლება, საკუთარი დედა ცემით სიკვდილამდე მიიყვანა და უკვე ბავშვებსაც სცემსო, მაშინვე ვუთხარი, - ამ წუთშივე ადექი და ჩამოდი, ყველა დაგიდგებით გვერდში-მეთქი. ჩემი და წამოვიდა და ისიც თან გამოჰყვა მეორე დღესვე; ერთი თვე ნაქირავებში იცხოვრა, მერე ნათესავებთან გადავიდა, ფული რომ შემოელია, ყოველ დღე ურეკავდა ჩემს დას, ემუქრებოდა - მოგკლავო. ბავშვები მამას დასანახად ვერ იტანდნენ.

- წინასწარ ჰქონია ყველაფერი დაგეგმილი. შესაბამისი ზომები რატომ არ მიიღეთ?

- სხვა ზომები როგორ უნდა მიგვეღო, პოლიციას შევატყობინეთ, ხელწერილი დაადებინეს, რომ არც ცოლსა და არც შვილებს ახლოს არ მიეკარებოდა, არ დაურეკავდა და არც შეაწუხებდა. ამის შემდეგ კიდევ უფრო გაგიჟდა; **მეზობლებმა რამდენჯერმე მითხრეს, - შენი სარდაფის ფანჯრებზე თავი ჰქონდა მიდებული და შიგნით იყურებოდაო. სანადირო თოფი ლანჩხუთიდან ჰქონია ჩამოტანილი და დაშლილს სულ თან დაატარებდა, ქურთუკის შიგნით.**

დაგვლუპა... ბავშვებს დედა მოუკლა, აყურებინა როგორ იცლებოდა ნინო სისხლისგან... გონზე ვერ მოგვყავს ბავშვები... ისეთი ტრაგედია დაემართათ, აღარ ვიცი, როგორ უნდა აეწყოს მათი ცხოვრება... თითქოს გულმა ცუდი მიგრძნო, დავურეკე, - მალე მოხვალ-მეთქი? - მიპასუხა, - 15 წუთშიო. სახლიდან 50 მეტრში, საღამოს რვის ნახევარზე ესროლა... ბავშვები კივილის ხმაზე გარეთ გაცვივდნენ და მიწაზე დაგდებულ დედას თავზე წაადგნენ.

- თვითონაც იქვე მოიკლა თავი?

- დაახლოებით ერთ საათში, ჯერ პოლიციაში მისულა და უთქვამს, - ერთ ქალს მანქანამ გადაუარა, მიეშველეთო და უკან წამოსულა. ***ჩვენ წივილ-კივილში თოფის გასროლა აღარ გაგვიგონია, მაგრამ მეზობლებმა გაიგონეს, - ჩემი და კორპუსის წინა მხარეს მოკლა, თავად უკანა მხარეს გასულა და იქ უსვრია.*** ყველაზე მეტად ბავშვებზე ვდარდობ. არ ვიცი, რა მოვუხერხო, რით ვანუგეშო, როგორ შევუმსუბუქო ეს ტკივილი.

ვაჟა ხუციშვილი



სოფელ გამარჯვებაში დაიბადე და გაიზარდე. ჩვენს გვერდით, ჩვენს თვალწინ გაიარა შენმა ბავშვობამ. სკოლის დამთავრების შემდეგ სამხედრო სავალდებულო სამსახურმა მოსკოვში მოგიწია და მას მერე შენი ცხოვრება ამ ქალაქს მჭიდროდ დაუკავშირდა. იქ დაეუფლე პროფესიას - დაამთავრე პოლიციის აკადემია და მთელი სიცოცხლე სამართალს და სამართლიანობას ემსახურებოდი. მიუხედავად იმისა, რომ შენი ცხოვრების ორი მესამედი მოსკოვში იცხოვრე, შენი სოფელი, შენი უბანი და შენი სახლი არასოდეს დაგვიწყებია. ყოველ წელიწადს შვებულებას მშობლიურ სოფელში ატარებდი. დედას-ქეთო ხუციშვილს და ერთადერთ დას-დალის, აღმერთებდი და პატრონობდი, მათ არ აკლებდი არაფერს, მხარში ედექი ეკონომიურადაც და მორალურადაც. არც მეზობლებს და მეგობრებს ივიწყებდი, ყველასთვის საიმედო დასაყრდენი იყავ. მოსკოვში ჩამოსულ ყველა თანასოფლელს ღირსეულ მასპინძლობას და მეგზურობას უწევდი, შენი გულისხმიერების და ყურადღების მადლიერი იყო ყველა. ბოლო დროს მძიმე სენმა დაგრია ხელი და ყველა გაფაცებით ვადევნებდით თვალყურს შენს ჯანმრთელობას. გაგვიხარდა, როცა შევიტყეთ შენი გადაწყვეტილება სამშობლოში დაბრუნების შესახებ. ჩამოხვედი კიდეც, სექტემბერი აქ გაატარე, მაგრამ მკურნალობისათვის კვლავ დაბრუნდი მოსკოვში და ეს იყო შენი საბოლოო და სამარადისო გამგზავრება, რადგან 2 დეკემბერს სულისშემძვრელი ინფორმაცია მივიღეთ შენი გარდაცვალების თაობაზე. საოცრად მტკივნეულია ჩვენთვის შენი დაკარგვა. სულიერად და ფიზიკურად განადგურდა შენი და, რომლის ნუგეშისცემას ვერაფრით ვახერხებთ, რადგან შენი გადმოსვენება ვერ მოხერხდა და კრემაციის შემდეგ პატარა ყუთში მოთავსებული ფერფლის ხილვამ დიდი სტრესი მოგვაყენა ყველას. შენმა ფერფლმა ბინა დაიდო დედის საფლავის გვერდზე, რომელიც სამი წლის წინ გარდაიცვალა. აგიხდა სურვილი- სამშობლოს მიწამ მიგიბარა. შენმა სიკვდილმა გული ატკინა ყველას, მაგრამ გამორჩეულად ჩვენს ოჯახს და პირადად მე, რადგან შენ ჩემი ნათლია იყავ. 19 იანვარს, ნათლისღების ბრწყინვალე დღეს მე შენი სული მოვიხსენიე და კიდევ ერთხელ გითხარ მადლობა მირონცხებისთვის, იმ ამაგისა და პატივისცემისათვის, რაც ჩემთვის და ჩემი ოჯახისათვის გაგიწევია. ძვირფასო ვაჟა, 1 თებერვალი შენი დაბადების დღეა- 63 წლის გახდებოდი. გილოცავთ და გპირდებით, შენი ხსოვნა მუდამ იქნება ჩვენს გულებში. დალისთან ერთად მოვალთ შენს საფლავზე, დაგინთებთ სანთელს და ღმერთს შევავედრებთ შენს სულს, რათა დაგიმკვიდროს სასუფეველი ცათა შინა.

ლევან და ნინო ფიროსმანაშვილები.
სოფელი გამარჯვება.

დარეჯან ბეგიაშვილი

1 თებერვალი შენი დაბადების დღეა. 38 წელი შეგისრულდებოდა, ჩვენო გოგო. მაგრამ ხანმოკლე აღმოჩნდა ეს წუთისოფელი შენთვის. ორი ნელი და 7 თვე დედა-შვილი შიშით შევაღებდით ხოლმე ონკოლოგიური საავადმყოფოს კარს. შიშით ველოდებოდით ანალიზების პასუხს. სიმართლეს ორივე ერთმანეთსაც ვუმალავდით და მამაშენს და შენს დებსაც. არც შენს ქმარშვილს ვეუბნებოდით არაფერს. იმდენად დიდი ბუნების ადამიანი იყავი, რომ ბოლო წუთებშიც კი არ გითქვამს ვაიმე, ვკვდებიო. როგორი ამაყიც სიცოცხლეში იყავი, ისეთი სიამაყით დატოვე ეს წუთისოფელი და შენი ლამაზი სული სამუდამოდ გაფრინდა ზეცაში. ჩვენ კი, შენს უბედურ მშობლებს, დაგვიტოვე შენი დაობლებული შვილები აღსაზრდელად და შენი მეუღლე, რომელიც არც შენ გაკლებდა არაფერს და არც შენს შვილებს. მის გულში მოუშუშებელი ტკივილი რომ დასტოვე. მარტო მოდის შენს საფლავზე და მარტო გესაუბრება. არ უნდა, ვინმე იყოს თქვენი საუბრის მოწმე. ჩვენ შენს კობას არაფერს მოვაკლებთ, შენი სიძეები ძმებივით უდგანან გვერდში.

დრო ვერ კურნავს შენი დების გულში იმ ღრმა ჭრილობას, რაც უშენობით დაუტოვე მათ. ფარვანასავით დასტრიალებს თავს შენს შვილებს შენი ქეთი. მოდიან შენს საფლავზე უსიტყვოდ, ცხარე ცრემლებით დაგტირიან და ქვაზე გამოსახულ შენს ლამაზ სახეს ეფერებიან. მათთან ერთად დაგტირიან შენი მამიდაშვილი ნინო და შენი დეიდა და დეიდაშვილები, როდესაც ყველა ერთად შეიკრიბებიან ჩვენი დიდ ოჯახში და მხოლოდ შენ აკლიხარ შენი გადამდები სიცილით, შენი წკრიალა ხმით. შენი სიმღერის ნაცლად მხოლოდ ტირილი ისმის, ერთმანეთს ყველა ვუმალავთ ცრემლს, მაგრამ იმ ტკივილს ვერცერთი ჩვენგანი ვერ ვუმკლავდებით. დარო, ენა ვერ იტყვის, როგორ გვენატრები. ვნატრობ. შენი სიცილი კი არა, შენი უკანასკნელი კვნესა მაინც გამაგონა. მაშინ შენი სახეულის სითბოს ვგრძნობდით და შენს სუნთქვას მაინც ვუსმენდით. უბედური მამაშენი დილით ადრე ადგება, მივა შენს სურათებთან და უხმოდ, უსიტყვოდ, ცხარე ცრემლებით დაგტირის. მინდა შენს გვერდით ვიყოთ, შვილო, ამ მონატრებას ველარ ვუძლებთ. ყოველი გასული დღე უფრო მეტ ტკივილს გვიტოვებს გულში. მშურს ჩემთვის და მამაშენისთვის რომ ჩვენ ვუყურებთ შენს შვილებს. კიდევ ერთხელ შევიკრიბებით შენს საფლავზე. კიდევ ერთხელ დაგაყრით ცხარე ცრემლებს, კიდევ ერთხელ მოგიმზადებს უბედური დედა საკურთხს, წავალთ ტაძარში, შენი მოძღვარი მამა ლევანი კიდევ ერთხელ გადაგიხდის პანაშვიდს. ეს უკანასკნელი ნუგეშია უბედური მშობლებისათვის. იძინე მშვიდად ჩვენო საბრალო გოგო, მსუმბუქი იყოს შენს გულზე დაყრილი შენი მშობლიური არბოშიკის მინა. უფალმა სასუფეველი დაგიმკვიდროს, ჩვენ კი სანთელ-საკმეველს არ მოგაკლებთ.

შენი უბედურ მშობლები ნიკო, მარინა, **დები** ქეთი, ხათუნა ბეგიაშვილები. **მეუღლე** კობა, **შვილები** ანა, ნიკოლოზ პოპიაშვილები.

ვანო ნაზარეთიანი

02.02.1983–07.11.2015წწ.

მართლაც მუხთალი და დაუნდობელი ყოფილა ეს დროებითი წუთისოფელი. რა ბედნიერები ვიყავით შენი მშობლები 1983 წლის 2 თებერვალს, როცა შენ მოგვევლინე. როგორი მზრუნველობითა და სიამაყით ვიყავით ანთებულნი, რომ ღირსეულად გაგვეზარდე, რათა შენი კაცობითა და ღირსებით ყველას ეამაყა.

ბავშვობიდანვე მოსიყვარულე და გულთბილი ხასიათის იყავი. გიყვარდა ყველა შენი თანასოფლელი, მეგობარი, უბრალოდ ნაცნობებიც კი...

ახლაც ახლოვდება 2 თებერვალი, შენი დაბადების დღე. ეს პირველი დაბადების დღეა, რომელსაც სიხარულისა და ღიმილის ნაცვლად გულისტკივილითა და ცრემლებით ვხვდებით. ეს პირველი დაბადების დღეა, რომელსაც შენ მარტოდ და დადუმებული ხვდები...

2 თებერვალს 33 წლის გახდებოდი, ამდენივე სანთელს აგინთებთ შენს მარადიულ სამყოფელთან მოსულები და ღმერთს შევავედრებთ, სასუფეველი დაუმკვიდროს შენს კეთილ სულს.

„თალხით შემოვა ეს თებერვალი,
საფლავს დაბერენ ცივი ქარები,
ჩვენ მოვალთ, მაგრამ აღარ დაგვხვდება,
მუდამ მცინარი შენი თვალები“...

დედა მარინა, **მამა** საშკა,
ძმა ვალერი ნაზარეთიანები

ზაზა პოპიაშვილი

შეუსრულებელ 37 წელს გილოცავ, ჩემო საყვარელო შვილო!

მაგიდაზე, შენი სურათების წინ დანთებული სანთლების ციმციმს და საკმეველის სუნს შენთან ვატან მონატრებას, სიყვარულს, ამბორს და ცრემლიანი თვალებით გეუბნები: „გილოცავ დაბადების 37 წლისთავს იმქვეყნად, ზაცაში, შვილო, მოდის ჩემთვის ყოფილი სანატრელი სასიხარულო 4 თებერვალი, ცრემლითა და მწუხარებით შეცვლილი.

შენი წასვლით დატოვებულ ტკივილს, ვერც 10 წელმა უშველა, შვილო, ძნელია შვილზე წერა, როცა იგი მოგონებად არის ქცეული, უზომო სულის ტკივილია უშენობა, ჩემო კეთილო, ალალო, სიცოცხლეზე და ცოლშვილზე გულდაწყვეტილი. 27 წლისად დარჩენილო შვილო, იმ საბედისწერო დღეს. აღდგომის დღესასწაულზე, ბრწყინვალე შვიდეულის პირველსავე დღეს. უფალმა სამოთხის კარი გაგიღო და შენც შენი ფიქრები და აუსრულებელი ოცნებებით დაადექი სასუფევლის გზას. რას ვიზამ, მოგიკვდეს დედა, უფლის ნებას ვერავინ შეცვლის შვილო. მისი რწმენით ვახერხებ ამ გაუსაძლისი დღეების გადატანას. შენს სახესა და სითბოს ვეძებ შენს შვილში, რომელიც ძალიან გგავს.

დედა მოგიკვდეს, ჩემო ზაზა. უშენობა ჩემი სხეულიდან ამოგლეჯილი გულია, რომელიც შენთან ერთად გაჩერდა, შვილო. განა შეიძლება, დრომ უმკურნალოს დედის გულს?! ასე რად გაგვიმეტა ცხოვრებამ, შვილო, მინდა, კიდევ ერთხელ ძლიერად ჩაგიკრა გულში. მოგეფერო, ვიგრძენო შენი სითბო და სიყვარული. მინდა დაგიკოცნო ლამაზი თვალები. მიყვარხარ, ტკივილამდე მიყვარხარ, ჩემო სიცოცხლევ.

სიცოცხლის ბედი არ გქონია, შვილო, თორემ სიყვარულის ნიჭი კი მოგცა ღმერთმა. უზომოდ გიყვარდა შენი ოჯახი, შენი საყვარელი ნათია და შენი საფიცარი ლიკა, რომელიც უკვე დიდი გოგოა, 15 წლის არის, შვილო, ხშირად მოვდივართ შენს საფლავზე და ჩუმად რაღაცას გესაუბრება. იმქვეყნიდან ილოცე და დაეხმარე შენს შვილს, ზაზა.

ჩემო ზაზა, ჩემო შვილო, შენს სურათთან და შენს საფლავთან სანთელი და საკმეველი არ ჩამქრალა, ლოცვები და ფსალმუნები არ შემწყდარა, მაგრამ ჩემო ზაზა, სიცოცხლე და სიხარული ჩაგვიქრა შენს მშობლებს, ცოლშვილს და ერთადერთ ძმას. ჩაიფერფლა შვილო და ქარს გაჰყვა ჩვენს გულში ყველა იმედი და ოცნება. მაგრამ მადლობა უფალს, რომ ძალას მაძლევს და ამ საშინელ ტკივილს და მწუხარებას რწმენით და ლოცვით მიმსუბუქებს.

ყველას ძალიან ენატრები, ჩემო ზაზა. დაბადების დღეს გილოცავს შენი ოჯახი, ბებიები, ბიძები, ბიძაშვილები, მეგობრები და მეზობლები. ყველა მოვა შენს საფლავზე, აგინთებენ უამრავ სანთელს, ჭიქა ღვინოს წაგიქცევენ და უფალს შესთხოვენ, რომ ნათელში ამყოფოს შენი ლამაზი სული.

ღმერთო, სამოთხის პატარა ადგილი დაუთმე ჩემს ზაზას, რათა განისვენოს იქ, სადაც მართალნი განისვენებენ.

შენი დედა

ვანო ნაზარეთიანი

ვანო, ჩვენო დიდო ტკივილო 2 თებერვალს 33 წლისა უნდა გამხდარიყავი, რომელსაც სიხარულით ელოდი, მაგრამ შენმა ბედისწერამ სიცოცხლეს გამოგასალმა. შენს დაბადების დღეს დიდი გულისტკივილით ვხვდებით უშენოდ. უფალს ვთხოვთ ნათელში იყოს შენი ლაღი და ნათელი სული. წამითაც არ გვავიწყდები და არც არასოდეს დაგვავიწყდება შენი გაღიმებული სახე. ყველას გვაკლიხარ და გვენატრები, ჩვენო საყვარელო ვანო.

შენი მეზობლები

არმენ ნუხრიკიანი

2008 წელს მეხის დაცემას ჰგავდა შენი უეცარი გარდაცვალების ამბავი. ტრაგუკულმა შემთხვევამ შეიწირა ახალგაზრდა, დაუდეგარი ადამიანის სიცოცხლე. დატოვე ახლადშერთული მეუღლე და პატარა გოგონა, რომელიც შენს სიცოცხლეს აგრძელებს... ოჯახთან ერთად გულით დაგიტირეს მეგობრებმა, მათთვის ხომ შეუცვლელი იყავი შენი უღალატო ბუნების წყალობით. 1 თებერვალს შენი დაბადების დღეა, არმენ. გილოცავთ იმქვეყნიურ სამყოფელში, ღმერთმა ნათელი დაუმკვიდროს შენს სულს.

შენი ოჯახი და ახლოგლები.

უახლოესი მეზობლები: გოგი გომელაური, ნელი კოვზირიძე, თინათინ მურვანიძე, გულო ალუღიშვილი და მარინა ქერელაშვილი ოჯახებით იუწყებიან მეზობლის
ნოდარ კოგიაშვილის
გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებენ მის ოჯახს.

„ეს არის დაუფასებლობა და უპატივისმცემლობა იმ ადამიანების მიმართ, რომლებიც მრავალი წელია, ძალისხმევას არ იშურებდნენ დედოფლისწყაროში ქარსაფარი ზოლების აღდგენისთვის“...



(მესამე გვერდიდან)

დეტალური ინფორმაცია მანამდეც გვქონდა და ჩვენთვის უცხო არ ყოფილა, მაგრამ დამეთანხმებით, სულ სხვა განცდაა, როცა საკუთარი თვალით ხედავ ამ ზარალს. მოვდიოდით გზაზე და დიდი ფართობები ვნახეთ გადამწვარი. სამწუხაროდ, ცუდი პრაქტიკაა. ეს არის მაგალითი იმისა, როგორ არ უნდა ვიქცეოდეთ, როგორ არ უნდა ვაწარმოებდეთ ჩვენს მეურნეობას. ეს არის დაუფასებლობა და უპატივისმცემლობა იმ ადამიანების მიმართ, რომლებიც მრავალი წელია, ძალისხმევას არ იშურებდნენ დედოფლისწყაროში ქარსაფარი ზოლების აღდგენისთვის. ეს ყველაფერი მავანთა უგუნურების გამო უცებ წყალში ჩაიყარა. რაც შეეხება იმას, რას აკეთებს გარემოს დაცვის სამინისტრო. ჩვენ, რამდენიმე სამინისტროსთან და საპარლამენტო კომიტეტთან თანამშრომლობით ვამუშავებთ კანონპროექტს ქარსაფარი და მინდორსაცავი ზოლების დაცვის თაობაზე. ჩვენი იდეაა, რომ ეს იდეა წახალისდეს და ფართო საინფორმაციო კამპანია გაიშალოს. დედოფლისწყაროსთვის, და არა მარტო ამ რაიონისთვის, ქარსაფარი ზოლების აღდგენა უმნიშვნელოვანესია. ნიადაგის დაცვის თვალსაზრისით, მოსავლიანობის ზრდის, თუ კლიმატის ცვლილების შესამცირებლად. ამიტომ, ვფიქრობთ, რომ გვაქვს კარგი გეგმა და ეფექტური საკანონმდებლო წინადადება, რომელსაც მალე წარვუდგენთ პარლამენტს. მიგვაჩნია, რომ დამტკიცების შემთხვევაში კანონი შედეგიანი აღმოჩნდება.

- ბატონო მინისტრო, ბევრ ქვეყანაში, მათ შორის მეზობელ ქვეყნებში, ნაკვეთების გადაწვა სრულად აკრძალულია, როგორია თქვენი მიდგომა?

- ვფიქრობ დედოფლისწყაროში რამდენიმე პრობლემა გვაქვს. გარდა იმისა, რომ ადგილზე აქტუალურია ნაწვერალის გადაწვის საკითხი, აქ ასევე სერიოზულად დგას გადაძოვების პრობლემა. ჭარბი ძოვება ვითარებას კიდევ უფრო ართულებს. ვფიქრობ, რომ აქ ადმინისტრაციული რესურსები აქტიურად უნდა ჩავრთოთ და ასე დავარეგულიროთ ეს პრობლემა. ასევე მიმაჩნია, რომ მოსახლეობის ინფორმირებულობა უნდა მოხდეს. ცნობილია, რომ თავად მიწათმოქმედებისთვის ნაწვერალის ჩახვნა გაცილებით უფრო ეფექტური იქნება, ვიდრე მისი გადაწვა. ვფიქრობ ეს კომპონენტები უფრო აქტიურად უნდა აამუშავოს სახელმწიფომ.

- დონორის პოზიცია თუ იცით, ხომ არ აქვს გერმანულ მხარეს იმედგაცრუება და რამდენად აპირებენ ისინი, მომავალშიც გააგრძელონ დედოფლისწყაროს დაფინანსება?

- ამ საკითხზე დონორებთან საუბარი გვქონდა. მათ პირველ რიგში ჭირდებათ მყარი გარანტიები, რომ მომავალშიც ანალოგიური აღარ განმეორდება და პირველ რიგში ადგილობრივი მოსახლეობა არ გამოიჩენს უდიერ მოპყრობას. აუცილებელია სათანადო საკანონმდებლო ბაზა და სათანადო ადმინისტრაციული რესურსის მობილიზება მოგვცემს საშუალებას შევქმნათ ისეთი პირობები, გერმანულმა მხარემ კვლავ ისურვოს დეგრადირებული ლანდშაფტების აღდგენის მიზნით სერიოზული თანხები გამოყოს. ეს მართლაც საშური საქმეა.

- როდესაც პირველად გამართეთ ბრიფინგი, აღნიშნეთ, რომ ახლადგაშენებული ზოლების 90% განადგურდა, მას შემდეგ კიდევ განმეორდა ხანძრები. გაიზარდა თუ არა ზარალი...

- ძირითადი ზოლი პირველივე შემთხვევებში განადგურდა, ამიტომ განმეორებითი ხანძრებით ნარგავების ზარალი აღარ გაზრდილა. მაგრამ, განადგურდა სხვა მცენარეები, რომლებიც დონორების მიერ არ იყო გაშენებული. არამედ, განმეორებითი ხანძრებისას დაიწვა ისეთი მცენარეები, რომლებიც შემორჩენილი იყო კომუნისტური წყობიდან. აკაციის ნარგავების დიდი მასივებია განადგურებული“.

ამირან კოდიაშვილი (**GIZ-ის ექსპერტი დედოფლისწყაროში**): „შეხვედრის მთავარი მიზანი იყო ადგილობრივ მოსახლეობას დეტალურად გაეცნო, რა ინიციატივები იგეგმება მომავალში სასოფლო-სამეურნეო ნარჩენების წვასთან დაკავშირებით. გერმანიის თანამშრომლობის საზოგადოება ამ პრობლემების სიღრმისეულად შესწავლაში აქტიურად ჩაერთო. შეისწავლეს ხანძრების უარყოფითი ეფექტი. ეკონომიკურად იქნება დათვლილი რა ზარალი მიაყენა ეკოსისტემას. სხვადასხვა დარგის სპეციალისტები მუშაობენ იმაზე, რა ეკონომიკური ეფექტი ექნება განმენდის ალტერნატიული მეთოდების გამოყენებას. ჩვენ გვექნება სურათი, რა საკანონმდებლო აქტები უნდა მიიღოს ხელისუფლებამ და რა ალტერნატივას ვთავაზობთ გლეხებს. რითი ჩაანაცვლოს ფერმერმა გადაწვა და რა სარგებელი მიიღოს აქედან. დღევანდელ შეხვედრაზე მათივე აზრიც მოვისმინეთ, რა შენიშვნები აქვთ და რაში ხედავენ გამოსავალს. აღმოჩნდა, რომ ფერმერები და მეცხვარეებიც წინააღმდეგი არიან გადაწვის და ხედავენ მის უარყოფით ეფექტს. ჩვენს მიერ მოწვეული ექსპერტები კვლევებს კიდევ ჩაატარებენ, ადგილობრივების აზრსაც გაითვალისწინებენ რათა მიღებული კანონმდებლობა იმდენად გამართული იყოს, რომ მოსახლეობა კი არ დაზარალდეს, აქედან სარგებელი მიიღოს. ავსტრიის თანამშრომლობის საზოგადოება და გერმანული მხარე აქტიურ დახმარებას უწევს დედოფლისწყაროს და ფოკუსირებულია კახეთზე, უფრო მეტად კი დედოფლისწყაროსა და თუშეთზე“.

ილია მარტყოფლიშვილი



ულოცავენ!

თამილა ჯავაშვილს!

გივი ფიროსმანაშვილს!

ჩვენო ძვირფასო დედიკო და მამიკო, გილოცავთ ქორწინების 40 წლისთავს. თქვენ 40 წელია, ერთად ეწევით მეუღლეობის მძიმე ჭაპანს, ერთად იზიარებთ ოჯახის სიხარულს თუ გაჭირვებას. თქვენ 3 შვილი და ხუთი შვილიშვილი აჩუქეთ სამშობლოს და ასწავლეთ სიკეთე, მადლიერება და კეთილშობილება. კვლავ ახალგაზრდული შემართებით აკეთეთ თქვენი საქმე. გისურვებთ დიდხანს სიცოცხლეს, ჯანმრთელობას და ბედნიერებას.

სიყვარულით და პატივისცემით,
მაგდა, ბესიკი, ნათია ფიროსმანაშვილეში, გიორგი ფიროსმანაშვილი, ნინო, ანი, თაკო ახალაურეში, მარიამ კაკალაშვილი.

ყურადღება!

ჩვენი აბონენტების საყურადღებოდ ვაცხადებთ, რომ შეიქმნა ელექტროქსელების სადისპეტჩერო სამსახური, რომელსაც უნდა მიმართოთ ელექტროენერგიის შეფერხებით მოწოდების ყველა შემთხვევისას ტელეფონის ნომერზე 595 92 72 19.
თქვენ ამომწურავ პასუხს მიიღებთ ყველა შეკითხვაზე. დაზუსტებული ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ 24 საათის განმავლობაში ნებისმიერ დროს.

კახეთის ენერგოდისტრიბუციის დედოფლისწყაროს სამსახური

საქართველოს 2015 წლის საუკეთესო ფეხბურთელი ჯაბა კანკავა გახდა

საქართველოს 2015 წლის საუკეთესო ფეხბურთელი ჯაბა კანკავა გახდა. ფეხბურთის ფედერაციის ყოველწლიური დაჯილდოების საზეიმო ღონისძიება თბილისის საკრებულოს შენობის ისტორიულ ნაწილში გაიმართა .

წლის საუკეთესო ფეხბურთელის ნომინაციაში კანკავასთან ერთად წარდგენილი იყვნენ ასევე ვაკო ყაზაიშვილი და სოლომონ კვირკველია.

რაც შეეხება სხვა ნომინაციებს, საუკეთესო მსაჯად დასახელდა გიორგი ვადაჭკორია. საუკეთესო მწვრთნელის ნომინაციაში გაიმარჯვა გია გეგუჩაძემ. წლის საუკეთესო ახალგაზრდა ფეხბურთელის ნომინაციაში გამარჯვებული გახდა ოთარ კიტეიშვილი. წლის საუკეთესო ქალი ფეხბურთელი გულნარა გაბელია გახდა. ეროვნული ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელის ნომინაციაში კი ალექსანდრე იაშვილმა გაიმარჯვა.

ამინდი — დედოფლისწყარო

	ორშაბათი 01.02	სამშაბათი 02.02	ოთხშაბათი 03.02	ხუთშაბათი 04.02	პარასკევი 05.02	შაბათი 06.02	კვირა 07.02
დღე	2°	4°	1°	5°	7°	8°	2°
ღამე	1°	0°	0°	3°	6°	5°	1°

გამომცემელი შპს „შირაქი“
დირექტორი ინგა შიოლაშვილი

რედაქტორი ნანრა გორაშვილი-პოპიაშვილი

წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებზე პასუხს აგებს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: ლალი მეხრიშვილი, ილია მარტყოფლიშვილი (ჟურნალისტები) ; ელზა ხარაშვილი (სტილისტ-მენეჯერი); ნათელა ბოსტაშვილი (ბუღალტერი) ; ნიაზი ჯანაშვილი (ოფის-მენეჯერი) ; მზია ქენქაძე (დისტრიბუტორი); ზურაბ ბუწაშვილი (კომპიუტერული უზრუნველყოფა).

გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის“ კომპიუტერულ ბაზაზე.
ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შ.პ.ს „სამშობლოს“ სტამბაში.

რედაქციის მისამართი: ქალაქი დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18,
ტელ. 0 356 22 55-49;
598 72-18-72 (დირექტორი)
591-97-73-26 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია დედოფლისწყაროს რაიონის სასამართლოს მიერ, №6014-468.